პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
შაბათი
4 ოქტომბერი
№ 229 (17872)
ფასი 2 კაპ.

ყრილობისწინა შრომითი მაჯისცემა

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

ᲬᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

შამინდობა არ აშინებთ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ (საკ. კორ.). შემოდგომა დაეტყო ტყეებსა და ველებს, ყანებსა და ხეხილის ბაღებს, ირგვლივ ყველაფერი ოქროსფრად იმოსება. ჩაის პლანტაციები ისევ მუქ-ლურჯად ღაღანებს, მეჩაიეები ისევე მუხლჩაუხრელად ირჯებიან, როგორც ზაფხულში—ჩაის კრეფის ცხარე დღეებში. რაკი სამშობლო მათგან 500 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს ელოდება, ისინიც მოწოდებას ერთსულოვნად უპასუხებენ — იქნება 500 ათასი ტონა!

რა მდგომარეობაა დღეისათვის აჭარაში? კარგი შრომითი ტრადიციების მქონე აჭარის მეჩაიეები კვლავაც მოწოდების სიმაღლეზე დგანან. მათ ხუთწლედი ოთხ წელიწადში შეასრულეს, მეტი ჩაი მოკრიფეს, ვიდრე ექვსი წლით იყო დაგეგმილი. არც ამას დასჯერდნენ, ვალდებულება იკისრეს, წელს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 4.000 ტონა, სულ — 66 ათასი ტონა. აი, რატომ არის, რომ ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების ჩაის პლანტაციებში ისევ გუგუნებენ მანქანები, დიდი და პატარა ისევ ბუჩქებს დასტრიალებს. აქტიურობენ ჩაქვის, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობების, ჩაისუბნის, ხუცუბნის და ბოგოყვათის, ალამბრის კოლმეურნეობათა, ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის, ხელვაჩაურის, ახალსოფლის, ახალშენისა და სხვა კოლმეურნეობათა მშრომელები. მოწინავეები უახლოეს დღეებში შეასხამენ ხორცს ნაკისრ ვალდებულებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან როდია უზრუნველყოფილი შრომის სწრაფი ტემპი. საკმარისია დახედოთ სტატისტიკურ ცხრილს და უმალვე თვალში მოგვხვდებათ ისინი, რომლებიც ცხრილის ბოლოში არიან მოქცეულნი. არ ჩქარობენ კირნათელები, აჭარისწყაროს, მახინჯაურის, კვირიკეს კოლმეურნეობების, მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. გეგმას ჩამორჩებიან ქედელი მეჩაიეები.

ᲠᲗᲕᲔᲚᲘ-ᲙᲝ

ᲖᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲥᲐ



ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ

1980 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ-

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ

ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ (ᲢᲝᲜᲝᲑᲘᲗ)

ᲛᲔᲚᲕᲘᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ „ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝᲡ“ 3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

რაიონები	გეგმა-ვალდებულება	შესრულება	ათასი ტონა
გურჯაანის	150.000	136.289	4.454
თელავის	95.000	72.900	2.432
ყვარლის	80.000	65.700	3.439
სიღნაღის	65.000	63.226	710
ახმეტის	60.000	33.230	1.606
წითელწყაროს	50.000	50.388	344
საგარეჯოს	40.000	16.154	1.366
ლაგოდეხის	20.000	15.298	540
მარნეულის	22.000	22.387	140
გარდაბნის	10.500	4.125	313
ბოლნისის	16.000	14.052	5
თეთრი წყაროს	3.000	600	206
მცხეთის	15.000	1.427	357
დუშეთის	2.800	128	67
ხაშურის	6.200	1.549	330
ორჯონიკიძის	7.000	208	—
ზესტაფონის	30.000	420	—
თერჯოლის	25.000	252	—
მაიაკოვსკის	20.000	296	56
ვანის	20.000	227	—
საჩხერის	7.000	239	55
სამტრედიის	2.500	78	29
წყალტუბოს	4.000	120	28
წულუკიძის	800	23	2
ტყიბულის	500	17	3
ჩოხატაურის	3.700	19	—
მახარაძის	800	19	—
გეგეჭკორის	2.500	45	—
ცხაკაიას	1.200	106	—
ჩხოროწყუს	1.100	17	—
ზუგდიდის	2.000	8	—

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲐ 453.185 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ. 2 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲝᲘᲙᲠᲘᲤᲐ 16.590 ᲢᲝᲜᲐ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ 3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲐ 499.714 ᲢᲝᲜᲐ, ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ 145.714 ᲢᲝᲜᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ.

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲨᲝᲠᲡ ᲠᲝᲓᲘᲐ

ᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ შემოდგომის ჯერ კიდევ პირველმა თვემ უკვე საკმაოდ გვაგრძნობინა ზამთრის მოახლოება. მაღალ მთებში ჩამოთოვა, თეთრი საბურველი ნელ-ნელა მოიწევს ბარისაკენ. ერთი სიტყვით, შორს არ არის ზამთარი. ცხადია, ყოველივე ეს უდიდეს საზრუნავს უჩენს და მკაცრ გამოცდას უმზადებს ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, სახალხო მეურნეობის დარგების კოლექტივებს, ყველა იმათ, ვისაც ზამთრისათვის მზადება და თადარიგიანობა ევალება.

ზამთრის თვეები ბევრ დიდ ხელნელეებთან არის დაკავშირებული, ისეთ დროს რთულდება სამრეწველო, სატრანსპორტო საწარმოთა, სამშენებლო ორგანიზაციათა, საქალაქო და კომუნალურ მეურნეობათა კოლექტივების მუშაობა. ამ დროისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საცხოვრებელი სახლების სითბოთი, ცხელი და სასმელი წყლით, გაზით, ელექტროენერგიით და საერთოდ ნათბობით უზრუნველყოფას, ტრანსპორტის გამართულ მუშაობას, ნავთობის ნაკმარ მარაგის შექმნას. ყოველივე ამაზე უშუალოდ არის დამოკიდებული ჩვენი ადამიანების ნაყოფიერი შრომის, ცხოვრების და ხრულფასოვანი დასვენების პირობების შექმნა.

თავისთავად ცხადია, ზამთრისათვის მზადება, სიცივეების დროს ჩვენი მეურნეობების ყველა უბნის და რგოლის გამართული მუშაობა ორგანიზებულ შემართებას, საერთო-სახალხო საქმისადმი გულმხურვალე დამოკიდებულებას მოითხოვს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მუდამ დიდ ყურადღებას უთმობს და სახავს ამოცანებს სიზამთროდ ორგანიზებული მომზადებისათვის. ცხადია, ცენტრალური კომიტეტის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საპროგრამო მითითებები საფუძველად უნდა დაედოს მთელ ჩვენს მუშაობას მეურნეობის ყველა დარგში, ცხოვრების და მოღვაწეობის ყველა უბანში, განსაკუთრებით იქ, სადაც საქმე მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის საყოფაცხოვრებო პირობებს ეხება. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ მხრივ ბევრი რამ კეთდება ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, სამრეწველო, სასოფლო, მომსახურების სფეროს საწარმოებში. მაგრამ წინა წლების გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ადგილებზე ყველაფერი ისე როდი გვარდება, როგორც ეს საჭიროა და როგორც ამას ცხოვრება მოითხოვს. მაგალითად, ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში შარშან ბევრი უხერხულობა შეიქმნა გაზით, სასმელი და ცხელი წყლით, ელექტროენერგიით, ნათბობით მომარაგებაში. სერიოზული ნაკლოვანებები იყო თბილისის ბევრ უბანში, ხოსუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში. რა დასამალია და, ჩვენი ქალაქების ბევრი დასახლებული უბანი ხუსხიან ამინდში მოკლებული იყო ნათბობას, ელექტროენერგიის რეგულარულ მიწოდებას, ცუდად მუშაობდა ტრანსპორტი. ახე იყო, მაგალითად, თბილისის გლდანის, საბურთალოს, ზემო ვაკის და სხვა მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, ზესტაფონის ფეროშენაადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელ სახლებში. უთუოდ შარშანდელი გაკვეთილებიც იქნა გათვალისწინებული, როცა ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის საქალაქო საბჭომ თავის მორიგ სესიაზე სპეციალურად იმსჯელა ზამთრისათვის მზადების თაობაზე და კარგი, საქმიანი დადგენილებაც მიიღო. ამ მნიშვნელოვან საკითხზე ბევრი პრაქტიკული ღონისძიება დასახეს აგრეთვე აფხაზეთის, აჭარის ახს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის და სხვა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებმა. მაგრამ კარგი გადაწყვეტილება ერთია, ბოლო მისი შესრულება და სრულყოფილი ხორციშესხმა მთავარი და გადამწყვეტია. საქმე ის არის, რომ ყოველი გადაწყვეტილების შესრულების სიკეთე უნდა იგრძნობოდეს ჩვენი შრომისა და მოღვაწეობის ყველა რგოლში, მშრომელი ადამიანის პირად ცხოვრებაში.

ერთი სიტყვით, სიცივის დადგომამდე ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მზად გვქონდეს ზამთრისათვის საცხოვრებელი სახლები, სამრეწველო საწარმოების, საავადმყოფოების, დაწესებულებების შენობები. საკმაო რაოდენობით უნდა მოვიმარაგოთ ქვანახშირი, ნავთობი, შეშა. ზამთრისათვის მზადების მთელი სამუშაოები ოქტომბრის შუა რიცხვებში უნდა დამთავრდეს. მაგრამ სამუშაოთა ტემპი ყველგან ერთნაირი როდია. ეს განსაკუთრებით იგრძნობა საქვაბე, ელექტრომეურნეობების, შიდა ნათბობის სისტემების, გაზის გაყვანილობის სამუშაოების შესრულებაში. ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებებია რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო რეგიონებში. მაგალითად, ქალაქ ქუთაისში, ლენინის პრსპექტზე შარშან გაზის მილები ჩაიწეწა, მაგრამ ეს სამუშაოები ისე უხარახოდ შესრულდა, რომ უკვე წელს საექსპლოატაციოდ უვარგისია. სამწუხაროდ, მილებს ახლა ხელმეორედ უნდა გაუკეთდეს იზოლაციია და მომზადდეს გაზის გასაშვებად. განა ამ სამუშაოზე დახარჯული თანხა წყალში გადაყრილად არ უნდა ჩაითვალოს?

განსაკუთრებული მონდომება მართებთ სუბტროპიკული რაიონების მშრომელებს. ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ ციტრუსების ნარგავები დაიცვან ყინვისაგან. ამისათვის საჭიროა დროულად და საკმაო რაოდენობით მოვიმარაგოთ მცენარეების შესაფუთი მასალები, ყოველივე ის, რაც ზამთრის პირობებში გვჭირდება. არ უნდა დავკარგოთ არც ერთი დღე, არც ერთი საათი, რათა ამასთან დაკავშირებით უბრალო წვრილმანიც კი არ გამოგვრჩეს.

სიცივეების დადგომამდე გულდასმით უნდა შეგამოწმოთ მთელი საცხოვრებელი ფონდის, სამრეწველო, სასოფლო, მომსახურების სფეროს ობიექტების მდგომარეობა. გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის უნდა ავამოქმედოთ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები, აქტივი, სახალხო კონტროლიორები, საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ სისტემატიურად ვამოწმებდეთ და ქმედითს ღონისძიებებს ვახორციელებდეთ ელექტროქსელების, თბომეურნეობის, წყალსადენის გამართული მუშაობისათვის, ნათბობის და განსაკუთრებით ნავთობის, ენერგორესურსების ეკონომიური ხარჯვისათვის.

უთუოდ სერიოზული მიხედვა სჭირდება საავარიო სამსახურებს, უკეთია, რომ ახეთი სამსახურები ბლომად გვაქვს, მაგრამ მათი მუშაობის ეფექტიანობა ნაკლებად იგრძნობა. ხშირად საავარიო სამსახურებიდან გამოძახებული ხელოსნები იგვიანებენ ან საერთოდ არ მოდიან, ზოგჯერ კი მათ ტრანსპორტირება უშლით ხელს.

საავარიო სამსახურების ოპერატიულობას ნაწილობრივი სატელეფონო კავშირის უვარგისობაც აფერხებს. ეს, საერთოდ, თბილისის სატელეფონო ქსელის და, კერძოდ, სადგურ „81“ მისამართით ითქმის. ჩვენი ტელეფონები, მართლაც რომ, ცუდად ემსახურება ხალხს.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისათვის უცხო როდია ისეთი ფაქტები, როცა ზამთარში, ყინვასა და თოვლში რიგიანად ვერ მოძრაობს საქალაქო ტრანსპორტი. ხოლო მაღალი მთის და შორეულ რაიონებში ხომ უგზოობა დიდ უხერხულობას უქმნის მოსახლეობას, ამიტომ აქედანვე უნდა ვიზრუნოთ და მივაღწიოთ უმაღლეს თადარიგიანობას, ორგანიზებულობას, რათა შეუფერხებლად მოძრაობდეს ავტობუსი, ტროლეიბუსი, და სხვა ტრანსპორტი. საერაოთთაშორისო გზებსა და მაგისტრალებზე მუდამ გამართულად უნდა გვქონდეს თოვლსაწმენდი მექანიზმები, ყოველგვარი ხტიკეური მოვლენისათვის მზად უნდა იყვნენ საგზაო-საექსპლოატაციო უბნები, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად გაიწმინდოს ტრასები, არ შეფერხდეს ტრანსპორტის მოძრაობა.

ზამთარში ჩვენი სახალხო მეურნეობის, საბინაო, კომუნალური მომსახურების სფეროს დარგების ცალკეული უბნების გამართული მუშაობა მით უფრო დამაკმაყოფილებელი იქნება, რაც უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ ამ საქმეს პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები. მათი მოვალეობაა სისტემატურად ადევნონ თვალყური მთელ მოსამზადებელ სამუშაოებს, შემდეგ კი ცალკეული სამსახურების მუშაობას, მკაცრად მოპკითხონ იმათ, ვინც უგულებელყოფს მშრომელთა საარსებო მოთხოვნებს. უნდა ავამაღლოთ მინდობილი საქმისათვის საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების მუშაკთა პასუხისმგებლობა, გავაძლიეროთ საზოგადოებრივი კონტროლი კომუნალური სამსახურების ყველა უბნისადმი. საქმისათვის სასიკეთო იქნება, თუ ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებს ფართოდ ჩავაბამთ არა მარტო ზამთრისათვის მზადების, არამედ სიცივის დადგომისა და დიდთოვლიანობის დროს კომუნალური სამსახურების გამართული მუშაობის უზრუნველყოფისათვის მიმდინარე სამუშაოებში.

დარჩენილ დღეებში ყველაფერი ვიღონოთ, რათა წარმატებით მოვემზადოთ ზამთრისათვის, არც ერთი წუთით არ შევაფერხოთ სახალხო მეურნეობის საწარმოთა მუშაობა, საცხოვრებელი ბინების გათბობა, ცხელი, სასმელი წყლით, ელექტროენერგიით, გაზით მომარაგება. ზამთრისათვის მზადების საქმეში მთავარი ამოცანა ის არის, რომ ჩვენს მშრომელ ხალხს — მუშებს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას შევუქმნათ მუყდრო ცხოვრების და ნაყოფიერი შრომის პირობები.

ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა ხარისხისა და ეფექტიანობის საკითხებისადმი მიძღვნილი მეორე რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. მისი მიზანია განიხილოს ხარისხისა და ეფექტიანობის შესახებ პირველი რესპუბლიკური კონფერენციის რეკომენდაციათა რეალიზაციის მსვლელობა და განსაზღვროს მეთერთმეტე ხუთწლედისათვის საქმიანობის პროგრამა იმის გათვალისწინებით, რომ გაუმჯობესდეს დაგეგმვა და გაძლიერდეს სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე, გაიზარდოს ახალ, მხოლოდ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის საგრობათა ნაწარმის დამზადება, წარმოების რესურსების ეფექტიანი გამოყენება, სტანდარტიზაციის ბაზაზე გაფართოვდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სისტემური მეთოდების მოქმედების სფერო.

კონფერენცია მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, სსრ კავშირის სახსტანდარტის და სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ.

კონფერენციაზე მოწვეული არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკები, მეცნიერები, გამომგონებლები, რაციონალიზატორები, რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატები, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი მუშაკები, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები.

კონფერენციის პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე, სსრ კავშირის სახსტანდარტის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამხანაგი ვ. ვ. ბოიკოვი, ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მინისტრის მოადგილე ა. ა. კუზმიკკი, სამეცნიერო-ტექნიკური სამმართველოს უფროსი, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს კოლეგიის წევრი დ. პ. კოვალჩუკი, სსრ კავშირის ჩარხმშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე ბ. ი. შურავინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ი. სოლუზნევი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჭკორია, დ. ლ. ქართველიშვილი და ი. ი. ქედიშვილი, რესპუბლიკის სხვა პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. მან თქვა:

დღეს მუშაობას იწყებს ზარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლების საკითხებისადმი მიძღვნილი მეორე რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. ამ დროისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეფექტიანობის ამაღლებას, ეფექტიანობა ეფექტიანობაზე ყურადღების გამახვილება, თქვა პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, მთელი ჩვენი ეკონომიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

და თუ ეფექტიანობისა და ხარისხის საკითხებისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია იქცა კონკრეტულ საქმიან პასუხად პარტიის მოწოდებაზე, ჩვენი დღევანდელი კონფერენცია მოწოდებულია შეაჯამოს ამ დროის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგები და განსაზღვროს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში ზარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლების ამოცანები.

დღეს გულდაჯერებით და ღრმა კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკკპ XXV ყრილობის შემდეგ მოწვეულმა პირველმა კონფერენციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ყრილობის მიერ დასახული დიდი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტაში. იგი დაახსომდა ყველა მის მონაწილეს და დიდი პრაქტიკული რეზონანსი გამოიწვია.

განსაკუთრებით მიხდა აღვნიშნო სსრ კავშირის სახსტანდარტის თავმჯდომარის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვასილ ვასილის ძე ბოიკოვის მაშინდელი საინტერესო და შინაარსიანი მოხსენება. ძალზე მოხარული ვართ, რომ დიდად პატივცემული ვასილ ვასილის ძე დღესაც მონაწილეობს მეორე კონფერენციის მუშაობაში და ამჯერადაც თავაზიანად დაგვთანხმდა მოხსენებით გამოსულიყო.

პირველ კონფერენციაზე დაისახა და ყოველმხრივ განაალოზდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში ზარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების აქტუალური თეორიული პრობლემები და განისაზღვრა ამ დარგში უმაღლეს მაჩვენებელთა მიღწევის პრაქტიკული გზები. განზოგადდა მოწინავე გამოცდილება, შემუშავებულია პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის რეკომენდაციები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესაბამისად.

გავიდა სამი წელიწადი, და ახლა შეგვიძლია შევჯამოთ შედეგები. უდავოდ, არც ისე ცოტა რამ გაგვიკეთებია. მოხსენებებში ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ითქმება. ამიტომ აღვნიშნავ მხოლოდ, რომ დღეს ხარისხის სახელმწიფო ნიშნით გამოდის 2.250-ზე მეტი დასახელების პროდუქცია, რაც სამრეწველო ზარმოების საერთო მოცულობის 21,5 პროცენტს შეადგენს. ფულადი გამოხატულებით ეს დაახლოებით 1,2 მილიარდი მანეთია. ამ მაჩვენებლის მიხედვით შედარებით მოკლე ვადაში ჩვენი რესპუბლიკა მეათე ხუთწლედის დამდეგს ქვეყანაში მე-13-დან მეორე ადგილზე გადავდგა. ახლა ხარისხის ნიშანი აქვს სახალხო მეურნეობისათვის ისეთ დიდმნიშვნელოვან ნაწარმს, როგორიც არის ავტომობილები, ელექტროძრავები, შესადუღი აგრეგატები, ელექტროშტამპელერები, ელექტროკარები, ფოლადის მილები, ქიმიური ბოჭკო, მანგანუმი, ფეროშენადნობები, ლითონსაჭრელი და სახეხი ჩარხები, ნიშანდობლივია, რომ ხარისხისნიშნიანი პროდუქციის დაახლოებით 80 პროცენტი სახალხო მოხმარების საქონელია.

რესპუბლიკის მეტწილ სამრეწველო საწარმოებში მუშავდება და ინერგება პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემები. ამან მრავალ მათგანს საშუალება მისცა მნიშვნელოვნად გადაეჭარბებინათ სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ხვედრითი წონის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებისათვის, მიეღწიათ წარმოების რიტმულობისა და სტაბილურობისათვის სახელმწიფო გეგმების შესრულებაში. ასეთი საწარმოთა რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანა“, ფოთის პიდრომექანიზაციის ქარხანა და სხვები.

სულ უფრო ფართოდ ინერგება ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, უწინარეს ყოვლისა, მეჩაიეობაში, მეციტრუსეობაში, მევენახეობაში, მეცხოველეობაში, მეხილეობასა და სხვა დარგებში. და ეს ერთხელ კიდევ მოწმობს სოფლად მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიალიზაციის პროცესების აქტივიზაციას, მის აღჭურვას თანამედროვე დიდმწარმოებლური ტექნიკით, მისი ტექნიკური დონის ამაღლებას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შრომის დაახლოებას და ა. შ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადასვლამ ახალ რელსებზე, მართვის სისტემური მეთოდების შემუშავება-დანერგვამ განსაკუთრებით დიდი ეფექტი მოგვცა მახარაძის, აბაშის, გარდაბნის, თელავის და ზოგიერთ სხვა რაიონებში, სადაც ყალიბდება ხარისხის მართვის ტერიტორიული კომპლექსური სისტემა.

ბევრი რამ კეთდება მშენებლობის დარგშიც.

დღეს ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ განვლილი წლების მანძილზე რესპუბლიკაში დიდი მუშაობაა გაწეული პროდუქციის ხარისხის სისტემური, კომპლექსური მართვის დანერგვისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ერთობ ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი ხარისხისა და ეფექტიანობის რესპუბლიკური კომისია, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. გ. ვ. კოლბინი ხელმძღვანელობს. ასეთივე კომისიები წარმატებით მოქმედებენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის, ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების ქმედითობის გაძლიერების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“.

პარტიისა და მთავრობის ამ მითითების საფუძველზე რესპუბლიკაში ახლა ხორციელდება ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების ზრდის დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვა. ამ საქმეშიც არის მოპოვებული შესამჩნევი წარმატებანი. ამ მაჩვენებელთა მიხედვით დაკისრებულ დავალებებს კარგად გაართვა თავი თითქმის ყველა რეგიონმა — საქართველოს ავტონომიურმა რესპუბლიკებმა, ავტონომიურმა ოლქმა, ქალაქებმა და რაიონებმა.

ეფექტიანობა და ხარისხი განუყოფელი ცნებებია. ფონდუკუდგებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდა, ნაწარმის გამძლეობა და საიმედოობა, ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირება, სიმძლავრეთა უკეთესი გამოყენება — ყოველივე ეს ხომ პირდაპირი გზაა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდისა, რაც, თავის მხრივ, იწვევს საზოგადოებრივი დოვლათის გონივრულ, მომჭირნე დაგროვებაგამოყენებას, ხოლო მუშაობის ეფექტიანობასა და ხარისხზე პირდაპირ არის დამოკიდებული მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

აი ამიტომ ვამბობთ დღეს, რომ წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას დიდი ეკონომიკური და სოციალური, თუ გნებავთ, პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ყოველი შრომითი კოლექტივისათვის, თითოეული ადამიანისათვის. მაგალითად, ხარისხისნიშნიანი ავტოსაწევრისათვის სართის ხარჯზე ქუთაისის ავტოქარხანამ წელიწადში მილიონ-ნახევარი მანეთით გაზარდა რეალიზებული პროდუქციის მოცულობა. ამდენივე ეზოგავთ ყოველწლიურად მომხმარებლებს ავტოსაწევრის „საექსპლოატაციო“ თვისებების გაუმჯობესების მეშვეობით.

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონის ზრდის წყალობით ამ პროდუქციის გამოშვებისათვის მატერიალური წახალისების ფონდი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში მილიონ 200 ათას მანეთამდე გადიდდა.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-3 ᲒᲕ.).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ნ. ს. ᲠᲔᲓᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: აეროდრომზე გაცილების დროს.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ტელეფოტო.

3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ს. რედი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება ჩვენს ქვეყანაში.

აეროდრომზე ნ. ს. რედი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა.

საკრებულისა და ასალი აშენების საავენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

საანგარიშო. საარჩევნო კრება ჩვეულებრივ წარიმართა. პარტბიუროს მდივანი რ. შალიკაძე შინაარსიანი მოხსენებით წარსდგა კომუნისტების წინაშე, იყო პირუთვნელი კამათი. კრების მსვლელობიდან გავიგეთ, რომ კოლექტივს ბევრი რამ აქვს საამაყო: 1976 წელს მთელ პროდუქციაში ხარისხისნიშნიანი მხოლოდ 4,5 პროცენტი თუ იყო, ახლა უშვებენ 71 პროცენტს. თვრამეტი სახეობის პროდუქციიდან 14 ხარისხის ნიშნით გამოდის. აქაური ნახელავი ოცდათაზე მეტ ქვეყანაში იგზავნება. ეს მონაცემები თავისთავად მრავლისმეტყველია.

მაგრამ არის სხვა ციფრები და სხვა ფაქტები, რომლებიც ჩრდილს აყენებს ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანას: შარშან კოლექტივმა სახელმწიფოს დააკლო მილიონი მანეთის პროდუქცია. არ შესრულდა ოთხი წლის გეგმა, წელს 8 თვეში პროდუქციის გამოშვების დავალება 100,4 პროცენტით შესრულდა, რეალიზაციისა — 100 პროცენტით. წარმატება მყარი და საიმედო არ არის. ითქვა ისიც, რომ მეოთხე კვარტალი უფრო დაძაბული იქნება, ადრე გეგმის კორექტირების გამო წაფორთხილებით ხუთწლედის ფინიშზე კოლექტივს რთული ამოცანის გადაწყვეტა მოუწევს.

დიახ, მომხსენებელმა და ჯამთის მონაწილეებმა ქარხანაში არსებული მდგომარეობის სრული სურათი დახატეს, მაგრამ მათ გამოსვლებს მაინც აჩნდა გაუბედაობის დაღი, გზადაგზა წამოჭრილ საკითხებს გვერდს უვლიდნენ, ზოგიერთი კვანძი გაუხსნელი რჩებოდა. ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია ახალგაზრდა ბრიგადირის ალეკო გოგეშვილისა და ქარხნის ერთ-ერთი ვეტერანის ჯულიეტა შოტიდის გამოსვლებმა. კრებაზე გამოცხადებულ შესვენებაზე სწორედ მათთან მოვისურვე დაწყებული საუბრის გაგრძელება.

მომხსენებელმა ერთი ასეთი ციფრი დაასახელა: წელს განვლილ რვა თვეში ქარხანაში მიიღეს 278 მუშა, ხოლო წავიდა — 187. დენადობა, კადრების არასტაბილურობა, როგორც ცნობილია, უარყოფითად მოქმედებს წარმოებაზე. ჩემი თანამოსაუბრეებისგან მინდოდა გამეგო, რა იწვევს ასეთ დენადობას, რა არის საქირო, რომ მუშას თვალი არ ეჭიროს ქარხნიდან გაქცევაზე. (რა თქმა უნდა, კონკრეტულად მათი ქარხანა მქონდა მხედველობაში.)

ჯულიეტა შოტიდმა მარტო საკუთარი კი არა, ასობით თავის ამხანაგის, თანამოსაქმის სათქმელი გვითხრა, ქარხანა არცთუ ისე ძველია. სულ 22 წლისაა. ახალი საწარმოს მშენებლობას მაშინ ყველა შეეხაროდა. საშუალო სკოლის მერხიდან მოსული ჯულიეტა და მისი მეგობრები კი განსაკუთრებით. მაშინ, 1958 წელს, როცა ყაზარმული ტიპის ორი საამქრო მუშაობდა, ეზოში გუბეები იდგა და მშენებლობის ნარჩენები ზვინებად ეყარა. არც გათბობა, არც გასახდელები, არც სასადილო... თითქოს ყამირზე მოხვდნენო, თვითონ აშენებდნენ და ასუფთავებდნენ.

კლუბის წინ ვეებერთელა ხეა გაბარდნილი. მას ჯულიეტას ხეს ეძახიან, რადგან 22 წლის წინათ სწორედ მან დარგო და გაუხარა. ახლაც ისე შეჰხარის ამ ხეს, თითქოს სულიერი იყოს.

— სხვაგან წასვლაზე როგორ ვიფიქრებ, — თქვა ბოლოს ღიმილით, — ამ ქარხანასთან არის დაკავშირებული მთელი ჩემი ახალგაზრდობა, შრომითი ნათლობა. აქაური მეგობრების, უფროსი კოლეგების დახმარებით დავამთავრე მოსკოვის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი, აქ გამომიცხადეს ნდობა და მომიღეს პარტიაში, ამ თაობის ხალხი რაღაც განსაკუთრებული მიზეზით თუ დატოვებს საწარმოს.

უფრო სხვაგვარი პრობლემაა ახალგაზრდობის შენარჩუნება.

ალეკო გოგეშვილის ბიოგრაფია, მაგალითად, სხვაგვარად წარიმართა. ქუთაისის პროფტექნიკურ სასწავლებელში ყოფნის დროს პრაქტიკას ბათუმის ელექტროხელსაწყოს ქარხანაში გადიოდა. აქ შეიტყო, რომ საწარმოში მუშახელი არ ყოფნიდათ. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 14 წლის წინ, აქეთ გამოეშურა, ოსლგაზრდა სიცივეში დაზგასთან არ დადგება და ამ ფაქტში გასაკვირი არაფერია. არც სამუშაო ადგილია ისე მოწყობილი, რომ მუშაობა გიხაროდეს. სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება ენიჭება საწარმოო კულტურას და ამას ახალგაზრდა უფრო მტკივნეულად განიცდის. იმიტომაც, იქნებ, რომ უფრო ემოციურია მისი ბუნება, ჯერ კიდევ დაუფიქრებელია კაცი. სამაგიეროდ, ხელს თუ შეეკუნყობთ, შედეგიც არ აყოვნებს ხოლმე.

ჩვენი ქარხანა თავის დროზე, ჩანს, პერსპექტივის გაუთვალისწინებლად აუგიათ. ყაზარმული ტიპის შენობებში წარმოების კულტურის ამაღლების პირობები არ არის. შემდგომში ძნელი გახდა ყველა ხარვეზის გამოსწორება. ახლა, ალბათ, ქარხნის მთლიანი რეკონსტრუქციაა საჭირო...

გეგმებს კი მაინც ყოველთვის შეასრულებდით, ჩვენგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზები რომ არ გვაშლიდეს ხელს, — განაგრძობს საუბარს ა. გოგეშვილი, — პროდუქციის გასაგზავნად დროულად არ გვაწვდიან კონტეინერებსა და ვაგონებს, ათასობით ტრანსფორმატორი ამის გამო უქმად დევს ხოლმე საწყობებში. რა სტიმული უნდა მიეცეს მუშას, რომ

ყურადღება, საწარმოში ახალგაზრდა მოვიდა!

დიალოგი კომუნისტებთან

ტატთა დახმარებით დაეუფლა სპეციალობას, ამ ხნის განმავლობაში 15 ტიპის ათასობით ტრანსფორმატორს შთაბერა სიცოცხლე. 1973 წელს სკკპ რიგებში მიიღეს, მერე ბრიგადირადაც დაიწინაურეს... საპატიო ნიშნის ორდენი და მრავალი სიგელი აქვს მიღებული. კიდევ უფრო დაუფასება თავდადებული შრომა — იგი აჯარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ასეა, საქმის მოყვარული, პასუხისმგებლობის გრძნობის, მჭონე კაცი საკუთარ თავსაც არგია და საერთო საქმესაც, ფრენია კი არც ერთს და არც მეორეს.

ახალგაზრდა ბრიგადირის აზრით ქარხანა არ უნდა ელოდეს, როდის მოვლენ სპეციალისტები. კადრები თვითონ ჩვენ უნდა აღზარდოთ და დავაოსტატოთო. მერე ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მან არ მიატოვოს საწარმო.

— ჩემს ბრიგადაში 7 კაცია, — ამბობს იგი, — ყველამ აქ აითვისა სპეციალობა — ტრანსფორმატორების აწყობა. აუცილებელია დაკვეუფლოთ შერეულ სპეციალობებსაც, როცა ამას საწარმოს ინტერესები მოითხოვს. ყველა ტიპის ტრანსფორმატორის აწყობა უნდა შეგვეძლოს... მუშახელის დიდი დენადობა ჩვენთან ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მუშობის და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობები არ არის. დირექცია მხოლოდ გეგმებზე ფიქრობს. ეს, რასაკვირველია, უპირველესია, მაგრამ ადამიანებს თავისი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებებიც აქვთ, რომელთა დაკმაყოფილება ბოლო პლანზე გადასადები არ არის. დღეკანდღილ ახალგაზრდას ვერ მოვთხოვთ იმას, რასაც ათეული წლების წინ აკეთებდა წინა თაობა. დღეს ახალგაზრდა ოჯახი ნაყოფი ვიღაცის უსულგულობის და მოუქნელი მუშაობის გამო დროზე არ მიდის დანიშნულების ადგილზე.

შესვენების შემდეგ, კამათი რომ გაგრძელდა, კიდევ ბევრი რამ გავიგე ამ კოლექტივის შესახებ. მათ, მართლაც რომ, ბევრ ვერაფერში დასდებთ ბრალს. საწარმოს ორასი კომუნისტი მრავალრიცხოვანი კოლექტივის ავანგარდია, ითვისებენ რთულ მექანიზმსა და ახალ პროდუქციას, წუნი მინიმუმამდეა დაყვანილი, 600 მუშა იბრძვის კომუნისტური შრომის დამკვრელის მაღალი წოდებისათვის, 4 უბანი, 54 ბრიგადა კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელს ატარებს, 55 კაცი მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში შრომობს... მაგრამ ამავე დროს მეორე საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა ფ. ტუოკოვამ. ამ კრები საამქროს უფროსმა დ. რუხაძემ, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. მდივანმა და სხვებმა წარმატებებთან ერთად კრებაზე ყურადღება გაამახვილეს ნაკლოვან მხარეებზეც. ითქვა, რომ საწარმოში დიდი დროის დანაკარგები, ამის გარდა ცუდია მომარაგება, მოძველებული იარაღები არღვევს შრომის რიტმს.

კრებაზე საკითხთა მრავალფეროვანი პალიტრა განიხილეს. საერთო შთაბეჭდილება კი აშკარა იყო — თითოეულ კომუნისტს ღრმად აქვს შეგნებული ამოცანა, რომელიც მომდინარე ეტაპზე მის წინაშე დგას. აშკარა იყო სწრაფვა იმისაკენ, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საერთო საქმეში, ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ პარტიის XXVI ყრილობას.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

გასაშვებ ობიექტებს — მთელი ბულისყური!

კედლები აშენდა, საქმე გაჩერდა...

საუბარი ქრაქსებული ქარხნის დირექტორთან

ულიანოვკა სიღნაღის რაიონში კარგა მოზრდილი სოფელია. აქ ცხოვრობენ რუსები, უკრაინელები, ქართველები... ისინი ერთ დიდ, ძმურ ოჯახში — კოლმეურნეობაში არიან გაერთიანებულნი. ძმურადვე შრომობენ, რომ იტყვიან, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებენ.

ბევრი ხელის ჭირიმეო, რომ ამბობენ, მართლაც, ასეა. სულ მოკლე ხანში აშენდა და დამშენდა ეს ინტერნაციონალური სოფელი.

ამ ორიოდე წლის წინათ სოფლის განაპირას რკინაბეტონის უზარმაზარი თეთრი სვეტები აღიმართა.

— ეს რაღაა? — იკითხა ვიღაცამ.

— ესეც ჩვენი სოფლის წინსვლის ერთი ბერკეტია, — განუმარტეს ამ ცნობისმოყვარე კაცს და ეს ცნობა მთელ სოფელს სიამოვნების მალამდე მოეცხო.

მართლაც, სოფელში რესპუბლიკური მასშტაბის სატრაქტორსარემონტო ქარხანა, რომელიც „მტზ-50" მარკის ტრაქტორების შეკეთებით მოემსახურება ჯარ მარტო სოფელს, არამედ რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობას, ხუმრობა საქმე როდია!

მალე სვეტები კედლებით შეივსო, ჭერი რკინაბეტონის ფილებით დაიხურა და სოფლის მკვიდრთა ოცნებაც აქ დასრულდა...

სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გურჯაანის № 4 ტრესტის (მმართველი — ვ. კუპრაძე) № 3 მოძრავი მექანიზებული კოლონის (უფროსი — ზ. ნაცვლიშვილი) მშენებლებმა ხელები დაიბანეს და გაუჩინარდნენო, — გვითხრა არარსებული ქარხნის დირექტორმა ე. ბარამაშვილმა.

— როგორ თუ გაუჩინარდნენ?

— ჩვენთან კი ვეღარ მოგვიყვანია და... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა დირექტორმა. შემდეგ თავი ასწია და დაიწყო:

— აი, ხომ ხედავთ, ჯერ არ აშენებულა, და ზოგი რამ კიდეც ინგრევა. მესამე წელია, რაც ამ შენობას, „საქკომსოფლტექნიკის" რესპუბლიკური გაერთიანების შეკვეთით, საფუძველი ჩაეყარა. მშენებლობის ვადა თითქმის მიიწურა, სამუშაოები კი სანახევროდაც არ არის შესრულებული. 1.707.000 მანეთიდან მხოლოდ 801.000 მანეთია ათვისებული. საწარმოო კორპუსის მშენებლობის დაუმთავრებლობა ხელს უშლის დაზგა-დანადგარების განლაგებასა და რთულ სამონტაჟო სამუშაოებს. შემოხდიული ძვირფასი ტექნიკა ღია ცის ქვეშ ყანგდება და ფუჭდება.

— თქვენ კი რა გენაღვლებათ, თანამდებობა და ხელფასი სოლიდური გაქვთ, საქმე კი... — გადაუჭკრთ არარსებული ქარხნის დირექტორს.

— მე ამ საქმისა თავად არაფერი გამეგებოდა, — მწარე ღიმილით თქვა ე. ბარამაშვილმა, — მშენებლის „ავადმყოფობა" ესა ყოფილა — საძირკველს ჩააგდებენ, კედლებს აგიშენებენ, თუ სიკეთეა, ჭერსაც გადაგიხურავენ, მერე კი... სიტყვა, დაპირება ერთია, საქმე კი სულ სხვა.

ამას წინათ, სამშენებლო ტრესტის მმართველი ვ. კუპრაძე ტელევიზიით გამოვიდა. წლევანდელ ასამოქმედებელ ობიექტთა შორის ჩვენი ქარხანაც დასახელა. გვიშველაო, ვიფიქრეთ, ძვრა კი არსაიდან ჩანს, ვის არ მივმართეთ, ვის არ მივწერეთ, მაგრამ...

როგორც გვითხრეს, მშენებლები თავს იმით იმართლებენ, რომ სერიოზული ასამოქმედებელი ობიექტები აქვთ: კაჩრეთში — ბროფტექნიკუმი, ფურჯაანში — მუკუბნის ღვინის ქარხანა და სხვ. რა თქმა უნდა, ყველა ეს საჭირო და აუცილებელია, მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. ხსენებული ობიექტები გურჯაანში, სწორედ იმ რაიონშია, სადაც სამშენებლო ტრესტი და მოძრავი მექანიზებული კოლონაა; ამ რესპუბლიკური მნიშვნელობის ობიექტს კი, რომელიც სხვა რაიონშია, გერავით ექცევიან. აბა, რით უნდა აიხსნას, თუ არა გულგრილობით, უპასუხისმგებლობით, რომ წლევანდელი 8 თვის გეგმა მხოლოდ 36 პროცენტით შესრულდა. თავის მოსატყუებლად, რამდენიმე მუშა მშენებლობაზე დილის 10-11 საათზე ცხადდება და 4-5 საათზე ტოვებს სამუშაოს.

ამ, მართლაც, სერიოზული ობიექტის მშენებლობა, რომელმაც წელიწადში 2.000 პირობითი სახის რემონტი უნდა შეასრულოს, პროექტით წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მას საგაისოდაც არ უჩანს პირი.

საინტერესოა, რას ამბობენ სამშენებლო ტრესტის, მოძრავი მექანიზებული კოლონის პარტიული ორგანიზაციები, როცა ისინი კვარტალურ თუ ნახევარწლიურ შედეგებს განიხილავენ, რატომ იგუბებენ წყალს პირში? მეტადრე კი სახალხო კონტროლის ჯგუფი, მისი ფხიზელი გუშაგები, რომელთა უპირველესი მოვალეობაა სახალხო მეურნეობის ეგზემპლის შესრულებისადმი კონტროლი?

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ლექტორები ყრილობას

ნალენჯიხა. (საკ. კორ.). ადგილობრივი ლექტორთა ჯგუფების გარდა ლექციების წასაკითხად თბილისიდან რაიონში ხშირად ჩამოდიან მაღალკვალიფიციური ლექტორები. ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორებმა, პროფესორებმა გ. ფირცხალავამ და ი. ჩიქავამ ლექციები თემაზე „ყრილობადან ყრილობამდე ლენინური კურსით", „პარტია განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში" წაიკითხეს ნალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ნაკიფუს სტალინის სახელობის, ობუჯისა და ნალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობებში.

პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში ქალაქის მუშა-მოსამსახურეებთან ლექცია „მუშობის ლენინური სტილი" წაიკითხა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფ. მახარაძემ.

გ. ნოდია.

საერთაშორისო ცხოვრების ყოველკვირეული ჟურნალი
„ლოდინი"
ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 50080
ტირაჟი 50 000
ფასი 20 კაპიკი

იწონებენ საბჭოთა ინიციატივებს

ნიუ-იორკი. საბჭოთა კავშირის ახალ კონსტრუქციულ წინადადებებს, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელების განმტკიცება, გამაღებული შეიარაღების ალაგმვა და ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება, ფართოდ უპერავენ მხარს და იწონებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. აქ განსაკუთრებით დიდი რეზონანსი გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის განცხადებამ 30 სექტემბერს კრემლში წარმოთქმული სიტყვაში, რომ „საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან კვლავ წამოაყენა მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო ატმოსფეროს გაჯანსაღების ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. ასეთი კურსი ითვალისწინებს თანამედროვე მსოფლიოს რეალობებს. იგი გასაგებია ხალხებისათვის და შეესაბამება მათს მისწრაფებებს. ამ ღონისძიებებს აქვს მომავალი".

სწორედ ამ თვალსაზრისით, თქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 35-ე სესიაზე ზოგადპოლიტიკური დისკუსიის დროს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. ჰნოუპეკმა, აღვიქვამთ საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი ინიციატივების კომპლექსს, რომლებსაც შეიცავს მემორანდუმი „მშვიდობისა და განიარაღებისათვის. საერთაშორისო უშიშროების გარანტიებისათვის", და ამ სესიის დღის წესრიგში შეტანილი სსრ კავშირის წინადადებას „ომის საფრთხის შემცირების ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების შესახებ".

ეჭვი არ არის, თქვა შემდეგ მინისტრმა, რომ ახალი სამხედრო კვეთრების შექმნასა და არსებული სამხედრო კავშირების გაფართოებაზე, შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების გადიდებაზე ხელის აღება, უბირთვო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცება, ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვა უაღრესად სასიკეთო ზემოქმედებას მოახდენს საერთაშორისო ვითარებაზე, შექმნის რეალური განიარაღების დარგში პროგრესის მიღწევის პირობებს.

გამოხატა რა დისკუსიის ბევრი მონაწილის აზრი, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. სიპასუტმა მეტად მაღალი შეფასება მისცა ახალ საბჭოთა ინიციატივებს მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და განიარაღების შესახებ. ჩვენ, თქვა მან, გულითადად მივესალმებით საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებებს, რომლებიც ითვალისწინებს ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების ღონისძიებათა უთუო განხორციელებას.

ლაოსის დელეგაციის მეთაურმა მწვავედ გააკიცხა პეკინის მილიტარისტული დიდმპყრობელური კურსი და უწოდა მას „საშხერეთ-აღმოსავლეთ აზიაში დღემდე არსებული დაძაბულობის მთავარი წყარო". ეს კურსი, თქვა მან, საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

საბჭოთა კავშირის მტკიცე მოწოდებებს — შეინარჩუნონ და გააღრმაონ დაძაბულობის შენელების პროცესი, ალამონ გამაღებული შეიარაღება — დადებითად ეხმაურება დისკუსიის ბევრი მონაწილე. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. თურქმენმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა კვლავ ერთგულობს დაძაბულობის შენელების პროცესს. დარწმუნებული ვართ, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მეორე შეხვედრამ მადრიდში, რომელიც ნოემბრისათვის არის გათვალისწინებული, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნად დაძაბულობის შენელების საქმეში, მინისტრი მიესალმა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მორიგებას იმის შესახებ, რომ ორი ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდებიან ოქტომბერში ჟენევაში, რათა შეუდგნენ ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის მოლაპარაკების დაწყების საკითხთა პრაქტიკულ განხილვას.

ირანის-ჯარების კონტრშეტევა

ბაღდადი. 3 ოქტომბერი. განვლილ დღე-ღამეში ირანისა და ერაყის საომარი მოქმედება ძირითადად ავიაციის თავდასხმებით გამოიხატებოდა. ერაყის სამხედრო სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ირანის ავიაციამ ძირითადი დარტყმები მიაყენა ობიექტებს კირკუკისა და მოსულის მახლობლად ქვეყნის ჩრდილოეთში, სულეიმანიას ქუთისტანში და სამხრეთში ბასრის რაიონს. ერაყის საჰაერო თავდაცვის ძალებმა ჩამოაგდეს ორი თვითმფრინავი. მხარეებს შორის ცალკეული სატანკო ბრძოლები იმართებოდა.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ ერაყის თვითმფრინავებმა დაბომბეს აჰვაზისა და დიზფულის ნავთობსაცავები და რკინიგზის სადგურები, აგრეთვე აჰვაზისა და ამადანის მახლობლად თავმოყრილი ირანის ჯარები.

როგორც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, ორი ქვეყნის შეტაკებანი გაქიანურებული ომის ხასიათს იღებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერაყის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერაყი აპირებს შეწყვეტოს ცეცხლი 5-დან 8 ოქტომბრამდე პერიოდისათვის. ამავე დროს ბაღდადის რადიოთი გადმოცემულ ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის ს. ჰამადის განცხადებაში ნათქვამია, რომ ერაყი საომარ მოქმედებას განაგრძობს იმ შემთხვევაში, თუ ირანი უარყოფს ერაყის მიერ კონფლიქტის შეწყვეტის მიზნით წამოყენებულ პირობებს.

თეირანი. ირანის პარლამენტის თავმჯდომარის ხაშემი-რაფსანჯანის განცხადების თანახმად, ირანის ჯარებმა მთელ ფრონტზე დაიწყეს კონტრშეტევა. ფარსის საგენტო იუწყება, რომ ქალაქ მეჰრანი გათავისუფლეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილ წერილში ირანის პრეზიდენტი ბანისადრი წერს, რომ სანამ ერაყი არღვევს ირანის ტერიტორიულ სუვერენიტეტს, მისი ქვეყანა „ვერავითარ სარგებელს ვერ ხედავს უშუალოდ თუ შუამავალთა მეშვეობით გამართულ დისკუსიებში, რომლებიც ეხება ორი ქვეყნის კონფლიქტის შეწყვეტას".

ბეირუთი. ირანის საელჩომ ლიბანში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: ჩაიფუშა ამერიკის შეერთებული შტატების ცდები, რომ არეულობა გამოეწვია ირანში, მოეწყო შეთქმულებები და აშკარა შეიარაღებული ჩარევა იმ მიზნით, რათა დაემხო ქვეყანაში არსებული რეჟიმი და ამან ვაშინგტონს შეაქმნევინა რეაქციული ანტიირანული კავშირი რეგიონის შიგნით, ეო-რიადსა და კაიროში მთელი რიგი ამერიკელი პასუხისმგებელი მოღვაწეების ვიზიტები იმას ადასტურებს, რომ თეირი სახლი ახალი შეთქმულების ქსელს აბამს ირანის რევოლუციის წინააღმდეგ. იმ მიზნით, რომ ჩამოაშოროს ირანი არაბულ ქვეყნებს, გაამწვავოს წინააღმდეგობანი მათ შორის, ისრაელმა გააკეთა პროვოკაციული განცხადება, რომელშიც გამოთქვა მზადყოფნა იარაღით დაეხმაროს ირანს, თუ იგი შეიცვლის პოზიციას პალესტინის რევოლუციის მიმართ. მაგრამ პალესტინის პრობლემასთან დაკავშირებით ირანის პოზიცია უცვლელია. მოვითხოვთ ისრაელის მიერ ოკუპირებული პალესტინის მიწების განთავისუფლებას.

მაძიებელთა სამყაროში

მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ადამიანი მრავალი განსაცვიფრებელი ტექნიკური გამოგონების მოწმეა. აქ ყველას ვერ ჩამოვთვლით. საკმარისია ითქვას, რომ ადამიანმა დაიპყრო კოსმოსი და ამით უდიდესი ნაბიჯი გააკეთა ჩვენი სამყაროს შესწავლაში. მაგრამ ამ დიდ გამოგონებათა გვერდით ადამიანი ქმნის, აკეთებს და აუმჯობესებს უამრავ ხელსაწყოს, ნივთს, ყოველდღიური მოხმარების საგანს, როშელსაც მხოლოდ მაშინ შევამჩნევთ ხოლმე, როცა იგი ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრება. ბევრია ასეთი მაძიებელი ადამიანი დედამიწაზე. სწორედ ზოგიერთი მათგანის გამოგონებაა აღმოჩენილი ამ სურათებზე.

ერთ-ერთმა დასავლეთგერმანულმა ფირმამ დაამზადა 110 სანტიმეტრი დიამეტრის ქოლგა. ასეთი ქოლგის ქვეშ შეეყვარებულთა წყვილს შეუძლია თავი შეაფაროს თვით კოკისპირულ წვიმაშიც კი. (ზევიდან პირველი ხურათი);

ესპანეთში გამართული ფესტივალის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო ველოსიპედმა, რომელსაც 12 სპორტსმენი მართავდა (მეორე);

წყალჯიმარდობის მოყვარულები უკვე დაინტერესა ახალმა გამოგონებამ — წყალბორბალამ, რომლის დიამეტრი 2,2 მეტრია, სიგანე კი — 1,4. ასეთი წყალბორბალათი შეიძლება 30 კილომეტრი სიჩქარის განვითარება (მესამე);



ქალაქ შტუტგარტის საავტომობილო ქარხანა „დაიმლერ ბენცმა" დაამზადა ექსპერიმენტული სარბოლი მანქანა „შპარმობილი", რომელიც საათში 868 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს (მეოთხე);

ნავთობპროდუქტების ფასების განუხრელ ზრდასთან დაკავშირებით იაპონელმა ინჟინრებმა შექმნეს... ოალქნიანი ტანკერი. 1600 ცხენისძალიანი დიზელის ძრავის გარდა ტანკერს გაკეთებული აქვს ორი პლასტიკური აფრა.





საკრებულის ფოტოკორონიკა.

ვაშინგტონის სამზადისი

ვაშინგტონი, 3 ოქტომბერი. ირან-ერაყის კონფლიქტში ამერიკის შეერთებული შტატების „ნეიტრალიტეტის" შესახებ ოფიციალურ მტკიცებათა საწინააღმდეგოდ ვაშინგტონი გამალებით ემზადება სპარსეთის ყურის რაიონში სამხედრო ჩარევისათვის და აპირებს ამ საქმეში ჩაითრიოს თავისი მოკავშირეებიც. გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა ცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ავსტრალიისა და საფრანგეთის სამხედრო ხომალდები „საწყის პოზიციებს იკავებენ ძლიერების მრავალეროვნულ დემონსტრაციაში და, თუ საჭირო გახდა, ორმუზის სრუტის გახსნის ოპერაციაში მონაწილეობისათვის". პენტაგონმა უკანასკნელ მომენტში გააშუქა ავსტრალიის ნაპირებისაკენ ავიამზიდ „ეიზენჰაუერის" გაგზავნის გეგმები, და ეს ხომალდი არაბეთის ზღვაში რჩება. მის „საშველად" კენიის მომბასის ნავსადგურიდან მიიჩქარის ამერიკის მეორე ავიამზიდი „მიდუეი". არაბეთის ზღვისაკენ მიემართება აგრეთვე ავსტრალიის ავიამზიდი „შელბურნი" სამი საესკადრო ნაღმოსნის თანხლებით და ინგლისის სარაკეტო კრეისერი „კოვენტრი". ინდოეთის ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში იმყოფება აგრეთვე საფრანგეთის 15 სამხედრო ხომალდი, რომელთაგან ხუთი სპარსეთის ყურის უშუალო სიახლოვეს არის თავმოყრილი.

ამასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატები სასწრაფო ღონისძიებებს ახორციელებს, რათა სამობილიზაციოდ გაამზადოს ეგრეთ წოდებული „სწრაფი რეაგირების ძალები". ამ საინტერვენციო კორპუსის სარდალმა გენერალმა ჰ. კელიმ კონგრესში გამოსვლისას განაცხადა, რომ უკვე დღეს ამ ძალებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ „საომარ მოქმედებაში".

კელიმ მოითხოვა ასიგნებათა გადიდება „სწრაფი რეაგირების ძალების" კონტინგენტების ჰაერით გადაყვანის უზრუნველსაყოფად.

პენტაგონის სტრატეგები, აღნიშნავს „ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველი დ. ობერდორფერი, ახლა სულ უფრო მეტად ამყარებენ იმედს იმაზე, რომ ირან-ერაყის კონფლიქტი შეიძლება გაჭიანურდეს.

როგორც ამერიკის პრესის ცნობები ცხადყოფს, ვაშინგტონი აპირებს ხელი მოითბოს ამ შეიარაღებული კონფლიქტით. „ირანში ხომეინის რეჟიმის მოშორება ამჟამად უაღრესად მოსახერხებელი მანევრი იქნებოდა კარტერის ადმინისტრაციისათვის, — წერს გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი".

„ნიუ-იორკ ტაიმსმა" დაბეჭდა ბრაუნის უნივერსიტეტის პროფესორის უ. ბიმანის სტატია, რომელიც წერს, ამერიკის შეერთებული შტატები უშუალოდ არის გარეული ირან-ერაყის კონფლიქტში. ირანელთა აზრით, აღნიშნავს იგი, „ომის ყველაზე საავარაუდო წამომწყებია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბეჟინსკი".

თანასწორუფლებიანობა ქაღალდზე

ბონი, 3 ოქტომბერი. 5 ოქტომბერს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიმართება პარლამენტის მორიგი არჩევნები, რომლის შედეგად უნდა განისაზღვროს დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის ახალი შემადგენლობა შემდგომი ოთხი წლისათვის.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი აცხადებს, რომ ქვეყანაში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს, რომელსაც იგი განსაზღვრავს საყოველთაო, პირდაპირ, თავისუფალ, თანასწორ და ფარულ არჩევნებში. როგორ ხორციელდება სინამდვილეში კონსტიტუციის ეს დებულება?

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის 80-ზე მეტ პროცენტს შეადგენენ მუშები და სხვა კატეგორიების მშრომელები, მაგრამ ახლანდელ ბუნდესტაგში ისინი წარმოდგენილი არიან მხოლოდ ათი დეპუტატით, რაც პარლამენტართა საერთო რიცხვის ორ პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. სამაგიეროდ ყოველი მეოთხე დეპუტატი მონოპოლისტური ბურჟუაზიის წარმომადგენელია, რომელიც მოსახლეობის საერთო რიცხვის სამ მესამედზე ნაკლებ პროცენტს შეადგენს, პარლამენტართა 40 პროცენტზე მეტი ბუნდესტაგში, ხოლო ლანდტაგებში — ნახევარზე მეტი მსხვილი სახელმწიფო მოხელეები არიან.

ასეთია „ხალხის ძალაუფლება". რაც შეეხება „თავისუფალ და თანასწორ არჩევნებს", კონსტიტუციის ეს დებულებაც დიდად დამორებულია სინამდვილეს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარჩევნო კანონში არის დებულება, რომლის თანახმად, პარტიებს, რომლებმაც ბუნდესტაგისა და ლანდტაგების არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების ხუთ პროცენტზე ნაკლები შეაგროვეს, არ ეძლევათ წარმომადგენლობა ამ პარლამენ

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

სურათზე: ინსტიტუტის მთავარ კორპუსთან.

ცოდნა ანთებული სანთელია

ნახევარსაუკუნო ვალ მონაკვეთში ჩვენმა სოფელმა ნამდვილად ტიტანური, რევოლუციური ნახტომი გააკეთა, ჩამორჩენილი, წვრილი დაქსაქსული აგრარული მეურნეობიდან მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულ აგროინდუსტრიულ მეურნეობად იქცა, გაუვალი ჭაობები და ხრიოკი ეწერი მიწები ნარნჯოვანებითა და ბაღ-ვენახებით დაიფარა, სასოფლო-სამეურნეო შრომა ჩვენ თვალწინ ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გადაიქცა. სოფლის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის მთელ ამ ისტორიულ გზაზე წინ მიუძღოდა აგრონომიის მეცნიერება და შშობლიურ კერაზე აღზრდილი კვალიფიციური კადრები დიდზე დიდ საქმეს აკეთებდნენ და აკეთებენ.

ქართველობა უხსოვარი დროიდან ესწრაფვის სწავლა-განათლებასა და კულტურულ ცხოვრებას. ამას ნათლად ადასტურებს მრავალი ისტორიული ძეგლი, ლიტერატურული წყაროები და უნიკალური ხელნაწერების ნიმუშები.

პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია თავგამოდებით იბრძოდა სასოფლო-სამეურნეო განათლების გაღრმავებისა და განვითარებისათვის.

ჯერ კიდევ 1832 წელს ქ. თბილისში, ხოლო 1851 წელს ქ. ქუთაისში შეიქმნა ეგრეთ წოდებული „სანიმუშო მეურნეობები“, რომლებსაც შებღალობის სკოლას უწოდებდნენ. 1871-1878 წლებში ახალოგიური სკოლები შეიქმნა მებაღეობაში (კონდოლში) და მიწათმოქმედებაში (ს. ლოჯინიში, მეჯვრისხევში). შედარებით მაღალი ტიპის სკოლას წარმოადგენდა ილია წინამძღვრიშვილის ინიციატივით შექმნილი წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი (1883 წელს), რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მიეცა ზოგადი განათლება მიწათმოქმედების, მევენახეობის, მეხილეობის, მეტყევეობის, მეაბრეშუმეობისა და მეცხოველეობის დარგებში. ამ სასწავლებლის გახსნისადმი მიძღვნილ შეჯერებაზე ალეგრების წინაშე თქმულ სიტყვაში ი. ჭავჭავაძემ თქვა: „ცოდნა ბევრნაირია. ხოლო აქედან ჩვენი შვილები,, თქვენი შვილები გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვგვნებინებს — სად რა სიმდიდრე ძევს, და რა რიგის ხერხით, რა რიგის ოსტატობით შეიძლება ამ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ და მივიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოთ“. ამ სასწავლებელმა ნაყოფიერი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის მასობრივი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადებისა და სასოფლო-სამეურნეო განათლების საფუძვლის ჩაყრაში.

ქართველ მოღვაწეთა მიერ დანთებული ცეცხლი საქართველოში უმაღლესი განათლების კერის შექმნილად ყოველწლიურად ძლიერდებოდა, მაგრამ თვითმპყრობელობის ბატონობის პერიოდში ამ სანუკვარ ოცნებას პრაქტიკული განხორციელება არ ეწერა.

ისე კი უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში განათლების კერების არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. გავიხსენოთ იყალთოს, გელათის და სხვა აკადემიები. უნივერსიტეტის დაარსებით გაიღო ხიდი, რომელმაც დააკავშირა ჩვენში წინანდელი აკადემიები უნივერსიტეტთან. 1918 წლის იანვარში დაარსებული თბილისის უნივერსიტეტი ქართველი ხალხის ისტორიაში უდიდესი პროგრესული მოვლენა იყო. უნივერსიტეტის გახსნით მტკიცი საფუძველი ჩაეყარა ეროვნული კადრების მომზადების საქმეს.

როგორც ცნობილია, 1919 წელს უნივერსიტეტის სამთემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან დაარსდა აგრონომიული განყოფილება, რომელიც 1921 წელს დადაკეთდა აგრონომიულ ფაკულტეტად. ამ ფაკულტეტმა 1930 წლამდე 1.580 სპეციალისტი მოამზადა, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და აგრობიოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი საშუშაოების განვითარებაში.

ასე მომზადდა წანამძღვრები დამოუკიდებელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შესაქმნელად, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა 1930 წელს. თავისი დამოუკიდებელი არსებობის პირველი დღეებიდანვე ინსტიტუტი გადაიქცა რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის სამეცნიერო პედაგოგიური და საწარმოო კადრების მომზადებისა და ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევის ნამდვილ მძლავრ კერად. როგორც თბილისის უნივერსიტეტი იყო ჩვენი ინსტიტუტის მშობელი, ასევე ინსტიტუტი თვით გახდა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მშობელი დედა. ჩვენს წიაღში იშვა საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (1932 წელი), საქართველოს სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი (1959 წელი) და სხვა მრავალი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საცდელი სადგური.

ისეთმა გამოჩენილმა ღვაწლმოსილმა მეცნიერებმა, როგორიც იყვნენ პირველი თაობის წარმომადგენლები ი. ჯავახიშვილი, პ. მელიქიშვილი, ს. ქურდიანი, კ. ამირეჯიბი, ა. დიდებულიძე, დ. გედევანიშვილი, ი. ლომოური, კ. მოდებაძე, ს. ჩოლოყაშვილი, გ. გეხტმანი, გ. რცხილაძე, მათი მომდევნო თაობის ღირსშესანიშნავი მეცნიერები და პედაგოგები, აკადემიკოსები გ. საბაშვილი, ვ. გულისაშვილი, ნ. ხომიზურაშვილი, ტ. კვარაცხელია, პროფესორები ვ. ღვალაძე, ლ. კალანდაძე, გ. ჯაფარიძე, ვ. ქანთარია, ზ. იაკობაშვილი, ა. ჯაფარიძე, ი. სარიშვილი, დ. აგლაძე, ი. ჩხენკელი და სხვები, არა მარტო მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს განათლებას საქართველოში და ჩვენს ქვეყანას მისცეს კვალიფიციურ სპეციალისტთა პირველი კადრები, არამედ თავიანთი მეცადინეობით მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ქართული აგრონომიის მეცნიერება, ხელი შეუწყვეს საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებას და ახალ მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანეს ეს საქმე. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს მათ სახელებს და ყოველთვის დიდი პატივისცემითა და მოწიწებით მოიხსენიებს მათ.

ჩვენი ერის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის მდიდარ მემკვიდრეობას შემოქმედებითად ავითარებენ და ამყამადაც ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდისა და რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარების საქმეში აკადემიკოსებს ს. დურმიშიძეს, ნ. კეცხოველს, ვ. მენაბდეს, ვ. მახალდიანს, რ. დვალს, ი. ხოსროვს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს შ. ჯანიშვილს, მ. დარასელიას, ლ. დეკაპრელევიჩს, გ. შხვაცაბაიას; პროფესორებს გ. და ზ. ხანთაძეებს, შ. კერესელიძეს, ი. აბაშიძეს, კ. თარგამაძეს, ი. ბათიაშვილს, ლ. ყანჩაველს, ი. ჯაშს, პ. ყიფლტს, ნ. ლაჭყეპიანს, გ. ბეგენავს, ო. ნათიშვილს, ს. ქარუმიძეს, მ. რამიშვილს, გ. ტალახაძეს, ა. მენაღარიშვილს, გ. ბადრიშვილს, შ. ხატიაშვილს, ბ. ჩიკვაშვილს, გ. აბესაძეს, გ. ქემელაშვილს, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს პროფესორებს ა. კეჩხუაშვილს, პ. ნასყიდაშვილს, გ. დეკანოიძეს, კ. მოროკაძეს, პ. მეტრეველს, ვ. დარახველიძეს; ბოლო პერიოდში ინსტიტუტის პედაგოგებს შეემატნენ პროფესორები მ. გაფრინდაშვილი, ვ. კალანდარიშვილი, გ. გოშაძე, ა. მუჯირი და სხვები.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების შემდეგ გასაოცარი ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში, დაჩქარდა სოფლის მეურნეობის გადაყვანა სოციალისტურ რელსებზე, შეუნელებელი ტემპით მიმდინარეს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია მოწინავე ტექნიკის ბაზაზე. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა, მისმა პედაგოგიურმა პერსონალმა, მის მიერ გამოშვებულმა ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტებმა, პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ნამდვილად გმირული შრომა გასწიეს სოფლად ახალი ცხოვრების წესების დამკვიდრებისათვის.

ინსტიტუტმა თავისი არსებობის პერიოდში სოფლის მეურნეობას მისცა 36 ათასზე მეტი სპეციალისტი. მათ შორის არიან აგრონომები, მექანიზატორები და ელექტრიფიკატორები, საკონსერვო და მეღვინეობის ინჟინერ-ტექნოლოგები, მეტყევეები, ეკონომისტები და ბუღალტრები, მეაბრეშუმე აგრონომები, ჰიდრომელიორატორები, რომლებიც წარმატებით მუშაობენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ობიექტზე. ინსტიტუტის 100-ზე მეტ კურსდამთავრებულს მინიჭებული აქვს ასევე სსრ კავშირის მასშტაბით, ახალი კონტინგენტის მისაღებ-საკონკურსო გამოცდები ჩვენს ინსტიტუტში თითქმის ყველაზე მაღალ დონეზეა, რაც იძლევა ახალი ცვლის კონტინგენტის შერჩევის საუკეთესო საშუალებას. ყოველივე ამან მოგვცა შესაძლებლობა არა მარტო თავი დაგვიფარა ჩამორჩენილობისა და წინა წლებში გამეფებული ნეგატიური მოვლენებისათვის, სუბიექტური შეცდომებისათვის, არამედ საკავშირო მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებს შორის მტკიცედ დაგვემკვიდრებინა საპატიო ადგილი პირველ ათეულში. ამას ადასტურებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის 4-ჯერ მიღებული გარდამავალი დროშაც.

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასთან ერთად ინსტიტუტში დამკვიდრებულია სასწავლო პროცესებთან სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეხამების კარგი ტრადიციები.

გამოიკვეთა მიწათმოქმედების, მემცენარეობის, მევენახეობის, ნიადაგთმცოდნეობის, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, მეტყევეობისა და სხვა სფეროში მაღალი კვალიფიკაციის მეცნერ მუშაკთა მოწინავე რგოლები, რომელთაგან დიდ სამეცნიერო სარბიელზე გამოვიდნენ უკეთესთა შორის საუკეთესოები. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები საფუძვლად დაედო ფუნდამენტურ მეცნიერულ შრომებს, საქართველოს კულტურული ფლორის ადგილობრივი რესურსების გამოვლინებისათვის, რომელიც შემმნილია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სელექციური მუშაობის შედეგად და წარმოადგენს მთელი რიგი კულტურული მცენარეების ფორმაწარმოქმნისა და მიწათმოქმედების უძველეს კერას.

სელექციური კვლევის შედეგად შექმნილი ხორბლის, ქერის, სოიის, სიმინდისა და ლობიოს 13 ჯიში, რომელთა ნაწილი წარმატებით გავრცელდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებში; მაგალითად, სიმინდი „იმერული ჰიბრიდი“ დარაიონებულია სამარცვლად და სასილოსედ საქართველოსა და ტაჯიკეთში, ხოლო უზბეკეთში, ყირგიზეთსა და თურქმენეთში, ვოლგოგრადის ოლქისა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — სასილოსედ; ლობიო „წითელი-41“ დარაიონებულია საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ყირგიზეთის რესპუბლიკებში.

თავის დროზე დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევები შეასრულეს კ. ამირეჯიბმა და ა. დიდებულიძემ, რომლებმაც შექმნეს სსრ კავშირში პირველი ელექტროტრანსფორმატორი, ხოლო პროფესორ ა. დიდებულიძის სისტემის დასაწვიმებელ აგრეგატებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამ ორი ღვაწლმოსილი მეცნიერის ერთობლივი შრომის საფუძველზე რესპუბლიკაში შეიქმნა მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მძლავრი სამეცნიერო-პედაგოგიური დანაყოფები, რომელთა მეცნიერული შრომის შედეგები გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს.

განსაკუთრებული ძალით გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უკანასკნელ პერიოდში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და სსკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის აგვისტოს დადგენილების შესაბამისად „სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და კავშირის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“,

ინსტიტუტს აქვს მთელი სამეცნიერო პოტენციალის რაციონალური გამოყენებისა და კვლევითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების კომპლექსური კვლევითი დარგობრივი ლაბორატორია სათანადო ექსპერიმენტული ბაზებით. გარდა ამისა, აგრობიოლოგიურ მეცნიერებაში კვლევითი სამუშაოების გაღრმავებისა და ძვირად ღირებული აპარატურის უფრო ეფექტიანი გამოყენების მიზნით შექმნილია საკათედრათაშორისო (12 კათედრის ბაზაზე) ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია, რომელსაც პროფესორი დ. უგრეხელიძე ხელმძღვანელობს. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ხელსაწყოებით, საზომი აპარატურითა და ექსპერიმენტული დანადგარებით. აქ უკვე მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ღრმა თეორიულ ფუნდამენტურ კვლევას.

ახლა სამეცნიერო გამოკვლევებს აწარმოებს ინსტიტუტის ყველა კათედრისა და სამეცნიერო ლაბორატორიის 300-ზე მეტი მუშაკი. მათ შორის 8 აკადემიკოსი, 57 პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორი, 7 აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 200-მდე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, სამეცნიერო მუშაობაში მონაწილეობს უფროსი კურსების სტუდენტთა 70 პროცენტზე მეტი. სტუდენტთაგან სამეცნიერო კადრების მომზადების მნიშვნელოვანი ღონისძიებაა სტუდენტთა სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის წარმართვა სასწავლო პროცესში.

ამჟამად ინსტიტუტი უკვე კადრების მომზადებისა და სამეცნიერო კვლევის მძლავრი კომპლექსური ორგანიზაციაა, რომელიც წარმატებით ამუშავებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციფიკით ნაკარნახევ აქტუალურ პრობლემებს. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს.

გენეტიკის, სელექციისა და მეთესლეობის კათედრის მიერ კოლექციიდან მიღებულია საწყისი სელექციური მასალა საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის პერსპექტიული ჯიშების, ახალი საკვები კულტურის ტრიტიკალეს და სიმინდის ბაზთაშორისი ჰიბრიდების შესაქმნელად. ეს ჯიშები, რომლებიც რეკომენდებულია რესპუბლიკის მთიანი და შთისწრნა ზონებისათვის, დარაიონებულ ჯიშებს მოსავლიანობით 15-25 პროცენტით აღემატება, გამოირჩევა ჩაწოლისადმი, დაავადებისადმი და მავნებლებისადმი გამძლეობით და უყუთიანობით.

ინსტიტუტის მემცენარეობის დარგის მეცნიერთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა შორის უნდა აღინიშნოს მინდვრისა და პირუტყვის საკვები კულტურების თესლბრუნვების პრინციპული სქემებისა და შესაბამისი ნათესის სტრუქტურული საკითხების დამუშავება, საადრეო კარტოფილის წარმოების სამრეწველო ტექნოლოგიის შემუშავება და სხვა.

მევენახეობის ხაზით სელექციური და აგროტექნიკური კვლევა ინსტიტუტში მიმდინარეობს საკოლექციო ნაკვეთზე, სადაც თავმოყრილია 3 ათასზე მეტი ადგილობრივი და მსოფლიოს 25 ქვეყნიდან შემოტანილი ვაზის ჯიში. ჯიშების რაოდენობით ეს ნაკვეთი უნიკალურად ითვლება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მევენახეობის კათედრის მიერ გამოყვანილია და დარაიონებულია 20-ზე მეტი ახალი ჯიში, რომელთაგან საუკეთესოდ ითვლება „თბილისური“, „ვარძია“, „კოლხური“, „მუსკატური“.

მეხილეობის კათედრის მიერ შერჩეულია ხეხილის საუკეთესო ჰერსპექტიული ჯიშები, რომლებიც ხასიათდება მსხმოიარობის ადრეული პერიოდით, არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებთან კარგი შეგუებით, მოსავლიანობით და ნაყოფის კარგი სასაქონლო ღირებულებით. შესწავლილია ამ პერსპექტიული, ინტენსიური ჯიშების ნაყოფთა ქიმიურ-ტექნოლოგიური მაჩვენებლები საქართველოს მთიანი რაიონების პირობებში.

ინსტიტუტის მეცნიერული ძალებით შესწავლილია მთის რაიონების ძირითადი ნიადაგობრივი ტიპების თავისებურებანი და მათი მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული საქართველოს მთის ტყეების აღდგენისა და მრავალმხრივ სასარგებლო თვისებათა ეფექტიანი გამოყენების საკითხების შესწავლაში. ინსტიტუტის მეცნიერებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები ჩვენს ქვეყანაში სამთო-სატყეო მეურნეობის გაძლოლისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების ორგანიზაციის შესახებ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გამოკვლევების შედეგები, რომლებიც მოიპოვა ტყის ტაქსაციის, ექსპლოატაციისა და ეკონომიკა-ორგანიზაციის კათედრამ წალმის, როგორც სატყეო ნედლეულის შემცველის გამოყენების საქმეში.

სანტერესო გამოკვლევებია შესრულებული საქართველოს სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფის სფეროში; შესწავლილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები რესპუბლიკის ცალკეული მთიანი რაიონებისათვის. გაანალიზებულია საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების მდგომარეობა; გაფართოვდა სამეცნიერო გამოკვლევები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ძირეული მიმართულებების რაციონალური გზებისა და ორგანიზებული ფორმების ძიების მხრივ.

დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს გამოკვლევებს აგროქიმიის, ნიადაგთმცოდნეობის, ენტომოლოგიის, ფიტოპათოლოგიის, მცენარეთა დაცვის, მცენარეთა ბიოქიმიის სფეროში.

ინსტიტუტის მძლავრ სამეცნიერო პოტენციურ შესაძლებლობათა უფრო რაციონალური გამოყენების მიზნით დამუშავებულია სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა და მთელი სამეცნიერო-პედაგოგიური და სტუდენტთა შემოქმედებითი ძალები თავმოყრილია ერთი კომპლექსური პრობლემის — „სამთო მიწათმოქმედების მეცნიერული საფუძვლების“ შესამუშავებლად. ეს პრობლემა დიდმნიშვნელოვანია არა მარტო რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. ფერდობები ხომ ჩვენი ყამირია! ამ საქმეში დიდი გამოუყენებელი რეზერვები გვაქვს. კვლევის სამოდელო ობიექტად აღებულია სამთო მიწათმოქმედების ათვის მკვეთრად დამახასიათებელი ზონა—დუშეთის რაიონი, სადაც ამჟამად უკვე მიმდინარეობს 52 კათედრისა და დარგობრივ-ლაბორატორიების კოორდინირებული ფართო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. წინასწარი გაანგარიშებით მე-11 ხუთწლედში ყოველ დახარჯულ მანეთზე გათვალისწინებულია 7-8 მანეთის უკუგება. ასე რომ, ჩვენ ამ მხრივ დიდი ამოცანების წინაშე ვდგავართ, მაგრამ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის ყველა წანამძღვარი გვაქვს.

ინსტიტუტის ღვაწლმოსილ პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივმა და სტუდენტმა ახალგაზრდობამ კარგად იცის, რომ ეს მიღწევები — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მასშტაბების თვალსაზრისით — სრულიადაც არ არის საკმარისი, იგი მხოლოდ მყარი საძირკველია შემდგომი შემოქმედებითი მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის.

ინსტიტუტის მთელი კოლექტივი, რომელსაც სწავლა-აღზრდისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, ცოდნასა და ენერგიას არ დაზოგავს, რათა ახალახალი წარმატებებით უპასუხოს პარტიისა და მთავრობის ამ დიდ დაფასებასა და უურადღებას.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა ნახევარსაუკუნოვან მიჯნას გადააბიჯა. სულიერი მომძლავრებისა და გონებრივი საზრდოს მოზღვავების ამ წლებში დაგროვილი მდიდარი გამოცდილების გამოყენებით ინსტიტუტის ნაცად პროფესორ-მასწავლებელთა მთელი კოლექტივი კვლავ ვაც ახალ სასახელო სიტყვას იტყვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.

ვ. მეტრეველი,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი.

...ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა მეთქი, მერე იმისთანა მაღლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულ სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვნელე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპს.

ი. ჭავჭავაძე.

ინსტიტუტის ლაბორატორიებში

ინსტიტუტის ბიოორგანულ კათედრაზე სამეცნიერო მუშაობასთან ერთად სტუდენტები პრაქტიკულ სამუშაოსაც ახრულებენ, ატარებენ /ცდებს. ამ საქმეს უნარიანად ხელმძღვანელობს \ დოცენტი ქეთევან დგებუაძე.

სურათზე: ლაბორანტი ვ. კორაშვილი, დოც. ქ. დგებუაძე და ასპირანტი მ. ზექალაშვილი მიღებული /ექსპერიმენტის შედეგს აანალიზებენ.

/ვ. ვენგიურის ფოტო.

სტუდენტთა აღმზრდელი, სასწავლებლის მატიანე

ინსტიტუტის გაზეთის „საბჭოთა აგრონომის“ საიუბილეო ნომერი რვაგვერდიანია. გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები, მოგონებები, ჩანახატები, ნარკვევები გვაცნობს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო განათლების დაწყებასა და განვითარებას, ინსტიტუტის დაარსების ამბავს, მისი ფუძის ჩამყრელებს, სწავლა-აღზრდის სადღეისო და სამომავლო პრობლემებს.

პირველ გვერდზე დაბეჭდილია ინსტიტუტის რექტორის, აკადემიკოს ვ. მეტრეველის სტატია „სახელოვანი 50 წლის იუბილე“.

ინსტიტუტს საიუბილეოდ მიესალმნენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური

საიუბილეო „საბჭოთა აგრონომი“

განათლების მინისტრი დ. ჩხეკვიშვილი, მწერალი-აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი ი. აბაშიძე, აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვ. ოკუჯავა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ა. ძიძიგური, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი ნ. ქარქაშაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვice-პრეზიდენტი ს. დურმიშიძე, ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებული, წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ა. კობაიძე და სხვები.

„აღვზარდოთ კომუნიზმის მშენებელი თაობა“ — ამ საერთო აზრსაგებ დაბეჭდილ წერილებში ვეცნობით თუ როგორ არის დღეს დაყენებული და როგორი იქნება მომავალში სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების საქმე.

გაზეთის ბოლო გვერდზე დაბეჭდილია დავით და ალინა ცხომარიების სიმღერა „თვალისჩინს და გულის სითბოს“, რომელიც მთ ინსტიტუტის 50-ე წლისთავს მიუძღვნეს.

ავტომაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და პროდუქციის ხარისხი

(დასასრული)

პროდუქციის ხარისხის მართვაში შეძენილი მოწინავე გამოცდილება, ნოვატორთა მიღწევები ფართოდ გავრცელდა. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, ფოთში, თელავში შექმნილი ხარისხის სახლები, აგრეთვე რესპუბლიკის დიდ სამრეწველო საწარმოებში გახსნილი ხარისხის კაბინეტები. უნდა აღინიშნოს ამხ. ვ. ვ. ბოიცოვის დიდი მხარდაჭერა სწორედ რომ ასეთი ერთიანი, მწყობრი საერთო რესპუბლიკური სისტემის შექმნაში.

სკკპ XXVI ყრილობისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნება დარგობრივი თემატიკური გამოფენა — „ეფექტიანობა და ხარისხი“, სადაც საქართველოს სს რესპუბლიკა დამოუკიდებელ განყოფილებად იქნება წარმოდგენილი. ეს დიდი პატივი და ამასთანავე დიდი პასუხისმგებლობაა. და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს რესპუბლიკას ბევრი რამ ექნება გასატანი სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე — მოწინავე გამოცდილების ამ სრულიად საკავშირო სკოლაში.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, პირველ და მეორე სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციათა შუალედში საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა და ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ საქმისადმი მეცნიერული, მიზანმიმართული, სისტემური მიდგომისას, მასებში პარტიულ ორგანიზაციათა კარგი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დროს, როგორც იტყვიან, ცარიელ ადგილზეც შეიძლება ბევრი რამის მიღწევა. ჩვენ კი, მოგეხსენებათ, თითქმის ნულიდან მოგვიხდა დაწყება. ეს იყო პერიოდი, როცა ჩაღდებოდა ბრძოლა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ნიშანდობლივია, რომ ეფექტიანობისა და ხარისხის საკითხებისადმი მიძღვნილი მეორე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია შეიკრიბა პარტიის XXVI ყრილობის წინ. დღევანდელი დღის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლა. ეს არ არის დროებითი კამპანია. ეს არის პარტიის, როგორც იტყვიან, სერიოზულად და დიდი ხნით აღებული გეზი. ეს არის არა მარტო მიმდინარე ხუთწლედის საკვანძო ამოცანა, არამედ მრავალი წლით წინასწარ ჩვენი ეკონომიკური და სოციალური განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი. ეს არის, თუ გნებავთ, საბჭოთა ადამიანების მთელი თაობის აღზრდის პროგრამაც, სავალდებულოდ აღნიშნა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

ეს სწორედ ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ მთელი ჩვენი შემდგომი მუშაობის დროს. გასაკეთებელი კი გაცილებით მეტი გვაქვს, ვიდრე დღემდე გაგვიკეთებია. შეთერთმეტე ხუთწლედში დასახული ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების მოცულობა გადიდდეს 2 მილიარდ მანეთამდე.

ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების შემდგომი პროგრამა უფრო რთული და უფრო დაძაბული იქნება; ამიტომ საჭიროა განვსაზღვროთ ამ პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზები, მივუდგეთ მას უფრო სისტემურად, უფრო მიზანმიმართულად, წარმართოთ იგი ნამდვილად მეცნიერულ საფუძველზე.

შეიძლება თქვას, რომ პროდუქციის ხარისხისა და მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემის გადაჭრას თვისებრივად ახალი მიდგომა სჭირდება. ამ მიზნით უნდა დავუსახოთ მიჯნები ყოველ სამინისტროს, თითოეულ უწყებას, ყოველ საწარმოსა და თითოეულ რეგიონს. უაღრესად საჭიროა კიდევ უფრო სრულყოთ მთელი ჩვენი ორგანიზატორული, აღმზრდელობითი მუშაობა ადამიანებთან. შრომითი კოლექტივის თითოეულ წევრს, ხელმძღვანელი იქნება ის თუ რიგითი მუშაკი, უნდა გავუძლიეროთ პერსონალური პასუხისმგებლობა და პირადი დაინტერესება პროდუქციის ხარისხის ამაღლებით, ჩავბაათ ამ მუშაობაში მშრომელთა უფართოესი მასები, ვეწეოდეთ მას ნამდვილად დემოკრატიულ საწყისებზე, კიდევ უფრო მტკიცედ ავამოქმედოთ მორალური და მატერიალური სტიმულები. ეს ყველა პარტიული ორგანიზაციის, ყველა სამეურნეო ხელმძღვანელის უშუალო მოვალეობაა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ სახალხო მოხმარების, სასურსათო პროდუქტების ხარისხის ამაღლებას — ისინი მხოლოდ ჩინებული ხარისხისა უნდა იყოს.

დაე, ყველა განმსჭვალოს იმ შეგნებით, რომ ხარისხისათვის ბრძოლა — ეს არის ბრძოლა მთელი საბჭოთა ხალხის, ყოველი ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. სწორედ ეს აღნიშნა საგანგებოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, როცა თქვა: „თანამიმდევრულად რომ გავაუმჯობესოთ ხალხის კეთილდღეობა, საჭიროა გაორკეცებული, გასამკეცებული ენერგიით განვახორციელოთ პარტიის მიერ დასახული ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების კურსი. ამ კურსს ალტერნატივა არა აქვს და იგი განუხრელად უნდა შესრულდეს მეთერთმეტე ხუთწლედში.

ხუთწლედის დამდეგს, ვეგებებით რა პარტიის XXVI ყრილობას, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ინტენსიური, ხარისხობრივი ფაქტორების ხარჯზე წარმოების ზრდა ეკონომიკის განვითარების, მისი შესაძლებლობების ყველაზე სრული გამოყენების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალედ და გულითადად მივესალმო წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების პრობლემებისადმი მიძღვნილი მეორე რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ყველა მონაწილეს — პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, სამეურნეო ხელმძღვანელებ

თუ როგორ მშვენდება ყოველდღიურად ქალაქი-კურორტი ქობულეთი, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ხედავენ აქ ჩამოსული სტუმრები. ბოლო წლებში აქ აღმართა ახალი ჯანმრთელობის კერის სართულები, ახფალტით მოიგო ქუჩები, გაშენდა ახალი სკვერები, აშენდა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, გაიხსნა მაღაზიები, სასადილოები, კაფეები.

იზრდება, ახალმოსახლეობას ზეიმობს ქობულეთი, რომელიც განთქმულია თავისი პლაჟებით, რბილი ჰავით, ფიქზნარით, თბილი ზღვით, მრავალრიცხოვანი სანატორიუმებით, დასახვენებელი სახლებით, პიონერული ბანაკებით.

სურათზე: ქობულეთი დღეს, ვ. ი. ლენინის სახელობის ქუჩა და მოედანი.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ეფექტიანი სამკურნალო აპარატი

თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფოსთან არსებულ კანის სნეულებათა დისპანსერის ფოტო-ქიმიურ-თერაპიულ კაბინეტში მესამე თვეა ავადმყოფებს მკურნალობენ ავსტრიული „ვალდმანის“ ფირმის „პუვა-6001“ აპარატით. მკურნალობა პაციენტთათვის მეტად შედეგიანი აღმოჩნდა. როგორც საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა რ. ლოლაძემ თქვა: ეს ფოტო-ქიმიურ-თერაპიული კაბინეტი ამიერკავკასიაში ერთადერთია; აქ მკურნალობენ ისეთი მძიმე კანის დაავადებებს, როგორიც არის ფსორიაზი, ვიტილგო, ნეიროდერმიტი.

ჩვენმა პარაზელმა კოლეგებმა ეს სამკურნალო მეთოდი უკვე ათი წელია დანერგეს და მკურნალობის საუკეთესო შედეგებსაც მიაღწიეს.

ავადმყოფები, რომლებიც წლების მანძილზე იტანჯებოდნენ ფსორიაზით, ახლა თავს კარგად გრძნობენ. მკურნალობა წარმოებს ულტრაიისფერი სხივებით. სამოითხი სეანსის შემდეგ შედეგი უკვე შესამჩნევია.

ლ. გურული,

მედიკოსთა სახლის ახალი მისამართი

მისამართს შეიცვლის საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მუშაკთა სახლი. მისი მშენებლობა დაიწყო მტკვრის სანაპიროზე, ზეთაგუროვის ქუჩაზე.

პროექტის ავტორებმა, „თბილისფილიალპროექტის“ ინსტიტუტის მეხუთე სახელოსნოს არქიტექტორებმა დ. მორბედაძემ, ა. მეხთეშაშვილმა, დ. გორდეზიანმა და კონსტრუქტორმა გ. ფიცხელაურმა, უარი თქვეს თანამედროვე ხუროთმოძღვართა შორის გავრცელებულ გადაწყვეტაზე — „მინა-ბეტონი“, შომავალი შენობის არქიტექტურა ორგანულად შეერწყმება ძველი თბილისის ამ კუთხის განაშენიანებას.

ვრცელ, სამსართულიან შენობაში, რომელსაც გრანიტით, მარმარილოთი, ტუფით მოაპირკეთებენ, იქნება თეატრალური დარბაზი 700 მაყურებლისათვის, 285-ადგილიანი კინოთეატრი, 7.000 ტომისათვის გათვალისწინებული ბიბლიოთეკა. აქ იქნება სპეციალური ოთახები წრეობრივი მუშაობისათვის. შენობის მახლობლად გაშენდება პატარა სკვერი.

ახალი კულტურული ცენტრის მშენებლობა დამთავრდება 1983 წელს. (საქინფორმი).

სოფლის სიახლენი

ხელვაჩაური. (ხაკ. კორ. მ. გორგილაძე). ახალშენს საბჭოთა მეურნეობაში წელს აშენდა და საეკსპლოატაციოდ გადაეცა 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, საფეხელი ჩაიყარა მეორე საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.

სოფელი ახალშენი პატარა ქალაქს ჰგავს, ცენტრში კაპიტალურ ნაგებობათა მთელი კომპლექსია: სკოლა 1200 მოსწავლისათვის, კულტურის სასახლე, კოლმეურნეობის გამგეობისა და სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციული შენობები, სავაჭრო და საყოფაცხოვრებოობიექტები. ახლა შენდება მაღაზიისა და სასადილოს თანამედროვე ტიპის შენობები.

ვაი, ჩურჩხელის ბრალი?!

თუ გინახავთ და იცით, როგორ ამზადებენ ჩვენებურ ჩურჩხელას, დიდი სიბრძნე და დაკვირვება არც კია საჭირო იმის გამოსაცნობად, რომ იგი ვაზისმომყვანან, ფუძის და ცერის მოყვარულ, მკვიდრ ცხოვრებას ჩვიულ, მეომარ და მოლაშქრე ხალხს მოუგონია საჭმელად. ჩურჩხელი ხომ ნიგვზის აცმულია თეთრაში ამოვლებული და მერე მზეზე: გულდაგული გამმზარი. თითარა, ფილამში კი უვაზოდ და უყურძენოდ წვნიოდ ვის გაუგონია. ანდა ნიგოს ისე ვინ მოგვერთმევა, თუ ბაკლის ხეს სულ ცოტა 10-15 წელი მაინც არ ვილოდინ, ვიდრე დასაკრეფად და დასაბერტყად მოგვესწრებოდეს... და, როგორც ეტყობა, ჩვენმა ძველებმა, ჩვენმა სულკეთხოვნელმა დედებმა და დიდედებმა პირველად სწორედ ომში მიმავალი ქმრების, ძმებისა და მამების საგზლად აასხეს და ჩამოძერწეს ჩურჩხელები — ეს უგემრიელესი და უყუათესი, უფუჭებადი და ენწყინარი, ლაშქრობისას ადვილი შესანახი და სტატრებელი საჭმელი.

ხომ ხედავთ, რამდენ ცეცხლსა და მდუღარეშია გამოტანილები, რომლებიც საკოლმეურნეო ბაზრებში დაძარნიან და შინნამზადი ფალსიფიცირებული ჩურჩხელებით, ღვინით, არყით ვაჭრობენ, რითაც სახელს უტეხენ სოფელს, ხალხს. ბევრი მათგანი მაკაცრადაც დასაჯეს, გარიცხეს მეურნეობიდან და ჩამოართვეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ზოგიც სასსლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

ყოველივე ეს თავის დროზე რაიონულ გაზეთ „ენგინიადში“ ვრცლად იყო გაშუქებული და ახლა აქ გაკიცხულთა და დასჯილთა გვარ-სახელებს სათითაოდ არ ჩამოგითვლით. მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე შეეხერდებით საგაზეთოდ და სამაგალითოდ.

ლევან ბესარიონის ძე ენუქიძე სოფელ ზეიდრის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელად მუშაობდა მრავალი წლის განმავლობაში, პარტიის წევრი ბახლდათ, სოფელში უკეთესი თუ არა, სხვაზე ნაკლები არაფერი არ ყოფილა. კარგი ოჯახის პატრონს გასაჭირი არაფერი ჰქონია. ცხოვრობდა მშვიდად და წყნარად...

და აი ერთ მშვენიერ დღეს ქ. სოჭოდან ამბავი მოვიდა: თქვენი რაიონის მკვიდრი ლ. ენუქიძე ფალსიფიცირებული ჩურჩხელებით ვაჭრობისათვის საკოლმეურნეო ბაზარში დავაკავეთ, აქტი შეეფდგინეთ, მასალებს გიგზავნით და აწი თქვენ მიხედეთო.

სირცხვილი და თავის მოჭრა არ არის! რა სჭირდა საამისო ლევან ენუქიძეს, ინტელიგენტ კაცს, ყველასგან პატივცემულს და დაფასებულს!?

არაფერი, გარდა იმისა, რომ სიხარბეზე. ამ კაცის დასახასიათებლად ერთი დეტალიც უნდა მოგახსენონო. ივ თავის ნაყალბევ-ნაცოდვილარი ჩურჩხელებით დატვირთულ-დაკაპანებული მილიციამ რომ დაიკავა, შეეცადა ვინაობა დაემალა: არც ის ჩამბილა პარტიის წევრი რომ იყო, არც ისა — მასწავლებლად რომ მუშაობდა, პენსიონერი ვარო.

იფ, კაი ყოფილა! სიგლახეს სჩადის, სახელი კი არ უნდა გაიტეხოს! თავისი ხალხის კალთას ეფარება და სირცხვილს ფოლიგ მისი ხელით სურს მოიწმინდოს. მამულიშვილიც ასეთი უნდა!

ასეთი კაცი განა ღირსია პარტიის რიგებში ირიცხებოდეს ან მასწავლებელი, ჩვენი შვილების აღმზრდელი იყოს?

არ არის ღირსი და აკი გარიცხეს კიდეც პარტიიდან და მასწავლებლობიდანაც გაათავისუფლეს.

მაგრამ ვის რად სჭირდება სასჯელი სასჯელად და კრება კრებად, თუ ჩვენი რეზოლუცია, დადგენილება და განაჩენი მგლის თავზე სახარების კითხვას დაემსგავსება, თუ დღეს ერთს დასჯი და გაიცხავ, ხვალ კი მეორე დაგჩდება ჩარჩ-დახლიდარად ბაზარში დამდგარი და კვლავ შაქარწყალში და საწამლავში შეთითხნილ რაღაც დომხალს შემოგვთავაზებს ჩურჩხელის სახელით. შეეშინ და ღმერთს მადლობა უნდა შეეუთვალო, თუ ცოცხალი გადარჩი: ეს ფალსიფიკატორები, ვითომ სურნელისათვის, რას არ ურევენ „ჩურჩხელის“ მოსამზადებლად შეზავებულ შაქარწყალში, და აკი მოწამლის მრავალი შემთხვევაც იყო. ამის შესახებ აქტები გამგზავნეს სიმფეროპოლიდან, ოდესიდან, სოჭოდან.

ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი ჩარჩები და ფირეზიკები მარტო ვანის რაიონში კი არა, სხვაგანაც ბევრია ჩვენი რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებში. ჩურჩხელების გამო რიდაკეიაში შემოსული საჩივრების შემოწმება რომ დამავალეს, ყველგან, მთელ საქართველოში მოვიკითხე და მოვიძიე ყველაფერი, რაც ჩურჩხელებს შეეხებოდა, საკოლმეურნეო ბაზრებიც კი მოვიარე... ყველგან სავსე იყო ჩურჩხელები, ნარნარი — ზოგი ცახური გორგომელას მინამგარი, ზოგიც — გურულ-იმერული ჯანჯუხისა, ზოგს აშკარად, ერთი შეხედვითვე იტყობოდა არიფი მუშტრის სატყუარი რომ იყო, ზოგს არც იტყობოდა, ნდობით ცი ვერც ერთს ვერ ენდობი...

ხედავთ, სადამდე მივიდა საქმე?! ჩურჩხელა ვერ გიჭამია კაცს, ვერც სტუმრისთვის მიგიბერთმევია შიშით (თუ თავად შენი ნახელავი არ არის), ვაითუ, მოვწამლოო...

მართლაც რომ, სასირცხო ამბავია!..

არადა, როგორ გინდა შეეცალო ჩურჩხელას!

ქართველ კაცს ჩურჩხელის ხსენებაზე თვალწინ დაუდგება რთველი, ღვინის წურვა და მაკრობა. კაცები ყურძნით სავსე საწნახელებში ჩამდგარან მუხლის ზემოთ შარვალკაპიწებული შიშველი ფეხებით (ახალგაზრდებს რამდენადმე არქაულად მოეჩვენებათ ასეთი სურათი), სამზადეში კი ქალები დაფუსფუსებენ. ბუხარში მოლუზლული ცეცხლზე შემოდგმულ ვეკრა ქვაბში შუამდე ადეკული ტკბილი დუღს და ქაფ-ქაფებს. ქვაბს გარეშემო დასტრიალებს დიასახლისი და ხის ჩოგანმომარჯვებული მერდინში გამტკიცული ფქვილით დიდხანს ზელს, ქნის და წნავს ფილამშს. იქვე, შორიახლო ბავშვები ჩაცუცქულან და სულწასული ელოდებიან, როდის გადმოდგამენ ოზშივარავარდნილ ქვაბს, რომ ახლავე, ცხლადვე მიიღონ თავიანთი წილი, დანარჩენი კი ქალებს სჭირდებათ, რომ წინასწარ დამზადებული ნაგვზის აკეცილები წყვილწყვილად ამოავლონ თითარაში და ჩურჩხელებად ჩამოქნან, ჯოკზე მანდილკიდად დაკაკიდონ და ბზეზე გასაზმობად გაფენონ...

და ვიდრე ჩურჩხელები გასაზმობად ჰკიდია ბზეზე, ყველგან — სახლში, ეზოში, შუკაში, გზაში — მთელ იმ არემარეში ბადაგისა და მაჭრის სუნი დგას კვირით კვირამდე...

გამოხდება ხანი, მიილევა შემოდგომა, მოილევა ყურძენი და ხილი, ჩამოთოვს ბარშემო ხეებზე და სადღაც, მარნის ეზრაკლიტულში გადანახული ჩურჩხელა საახალწლო სუფრაზე ამოყოფს თავს, ხან ოცტო სტუმართან გამოჩნდება, ხანაც, ათასში ერთხელ, საგანგებო საჩუქრად მოეკლონება ბავშვებს დიდიდის თბილი ხელით მიწოდებული.

თუ ოდესმე გინახავს და განიცდია ეს, რა დაგაკვიწყებს ამ სურათს და როგორ უნდა აპატიო იმას, ვინც ეს ულამაზესი რიტუალი გაგვიყალბა და გაგვეუფასურა, ვინც ჩურჩხელი საეჭვო და საშიშ საჭმელად გვიჩვენა.

ჯერ იყო, და შინაური ღვინო გაგვიფუჭეს და გაგვიბახეს ფალსიფიკატორებმა (ის ღვინო, ვაზისა და ღვინის ქვეყნიდან ჩამოსული ფრანგი მოგზაური შარდენი რომ გვიჭვიბდა ამ სამი საუკუნის წინათ — საქართველოში რამდენი ოჯახიცაა, იმდენნაირი ღვინოა და ყველა ერთმანეთზე უკეთესია). ბევრ თქვენგანს ეხსომება, ამ ოცი თუ ოცდაათი წლის წინათ სწორედ მათ, ამ საქმისნებმა დაიწყეს პირველად ჭაჭაზე დადუღებული შაქარწყლის ღვინოდ გასაღება, მერე და მერე კი ისე გავრცელდა ეს ავი სენი, ეპიდემიასავით მოედო მთელ საქართველოს და მარტო გასაყიდად კი არა, შინ, ოჯახში სახარჯოდაც მიპყვეს ხელი ასეთი ღვინის დამზადებას და დღეს ფრიად სოლიდური და დარბაისელი მასპინძელიც ისეთი რიხით და ფიქით შემოგთავაზებს ამ შაქარწყალს, სუფთა რქაწითელი გახლავთ, ბატონო, ჩემი ხელით დაწურულიო, კარგი მცონი და მეშვიდეც რომ იყო, იძულებული გახდები თავი გასწირო და დალიო...

ვაითუ, ჩურჩხელასაც ასეთი ბედი ეწიოს და სულაც დაგვიკარგონ და დაგვავიწყონ მისი ვემოო!..

ვიცი, ზოგი ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავს, აგდებულად ჩაიქნევს ხელს და იტყვის: ერთი შენცა, მოგცლია, ჩურჩხელა რა პრობლემად დაგვისახეო.

არც ისე ბევრია ეს საქმე, ზოგს რომ ჰგონია. შენი ხალხის წეს-ჩვეულებებს სპეციალიკის საგნად რომ გახდი, თუნდაც ეს სასმელ-საჭმელ და სამზარეულოს შეეხებოდეს, ეს უკვე უზნეობაა.

ბოლოს და ბოლოს, ჩურჩხელა რა არის, სულაც რომ არ ვეჭამოთ, არც მაგით დაიტევება ქვეყანა, ჩურჩხელა კი არა, ღვინოსაც შეეღება ადამიანი, მაგრამ უკადრესი არ უნდა იკადრო. ვაზი დედასავით წმინდაა ქართველი კაცისათვის და მისი ღირსების შელახვა ეროვნული ღირსების შელახვას უდრის.

მიხეილ მიქაძე.

FIDE
GENS UNA SUMUS

პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩებზე კიდევ ერთი პარტია და...

ბაიდარაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის დამატებითი შესამე პარტია ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა იოსელიანს შორის 65-ე სვლაზე მსოფლიო ექსჩემპიონის წინადადებით ყაიმით დამთავრდა.

პარტია ასე დამთავრდა:

41. ᲛᲔᲤ2 (ჩაწერილი სვლა) ᲛᲔ6 42. ᲛᲒ7 ᲛᲔᲒ7 43. ᲛᲐ5 ᲛᲔᲓ7 44. ᲛᲔ2 ᲛᲐ4 45. ᲛᲒ3 ᲛᲔᲓ6 46. ᲛᲔᲒ3 c5 47. bc ᲛᲔ:c5 48. ᲛᲓ2 ᲛᲔᲒ6 49. f4 ᲛᲒ2 50. ᲛᲒ1 ᲛᲒ4+ 51. ᲛᲔᲤ3 ᲛᲒ3 52. ᲛᲔᲒ4 ᲛᲓ4 53. ᲛᲔᲒ3 g6 54. fe fe 55. ᲛᲓ5 ᲛᲔᲓ6 56. h4 ᲛᲔᲒ6 57. ᲛᲒ7+ ᲛᲔᲤ7 58. ᲛᲔᲰ3 ᲛᲔᲒ7 59. ᲛᲓ5+ ᲛᲔᲒ6 60. h5 gh 61. ᲛᲔᲰ4 ᲛᲓ6 62. ᲛᲓᲒ3 ᲛᲔᲤ6 63. ᲛᲔ:h5 ᲛᲔᲒ7 64. ᲛᲓ2 ᲛᲒ2 65. a4 ყაიმი.

მატჩის ანგარიშია 6,5:6,5. დღეს უნდა გაიმართოს მატჩის უკანასკნელი პარტია.

ე. მელიქსეთბეგი.

„უოტერფორკი“ — დინამოელთა მეტოქე

ბერლინი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მოსკოვის „სპარტაკის“ ფიზბურთელთა მეტოქე იქნება დანიის „ესბიერგის“ კლუბი. ეს ცნობილი გახდა წილისყრის შემდეგ, რომელიც ციურიხში გაიმართა. პირველი მატჩი უნდა გათამაშდეს მოსკოვში 22 ოქტომბერს. სპასუხო — 5 ნოემბერს. თბილისელი დინამოელები, რომლებიც კვლავ მონაწილეობენ თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში, ამავე ვადაში შეხვდებიან ირლანდიის „უოტერფორკის“ გუნდს. პირველი თამაში ირლანდიაში გაიმართება.

მოკლედ

გამოვლინდნენ ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტები ვაჟთა ერთეულთა თანრიგში, ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ა. მეტრეველი და მოსკოველი კ. პუგაევი.

ალი დამარცხდა

ლას-ვეგასში (აშშ) გაიმართა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ ამ ტიტულის მფლობელი ლარი ჰოლმსი და 38 წლის მოჭამეტ ალი, რომელიც ცდილობდა მსოფლიოს ულიერესი მოკრივის სახელი დაებრუნებინა, მეოთხეულ გამწყდარიყო ჩემპიონი და ამით თავისებური რეკორდი დაემყარებინა.

ალის იმედი არ გაუმართლდა. მეათე რაუნდში მისი მწვრთნელი თხოვნით მსაჯმა ორთაბრძოლა შეწყვიტა. აშკარა უპირატესობის გამო გამარჯვება მიეკუთვნა ჰოლმსს, რომელიც 7 წლით უმცროსია ალიზე. ჰოლმსმა ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა.

რედაქტორი
გ. ბედნეიშვილი.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

6 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ცეროდენას ეკრანი“, 10.00 — შვეიცარიელთ ქართული ენა (ფ.), 10.30 — დოკუმენტური ფილმი „ნინა ურანტი“, 11.30 — „ლუდუკო, ჩემო თილისმა“ — გამეორებით (ფ.), 12.10 — „ჩვენი სოფელი“ — საგილევიზიო პროგრამა (ფ.), 13.00 — „ქართული ხალხური სიმღერები, 13.30 — „თბილისი და თბილისელები“ (ფ.), 14.00 — ქართული მხატვრული ფილმი „რაჭა, ჩემი სიყვარული“ (ფ.), 15.20 — „ᲯᲒᲐᲜᲛᲘᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ“ — საგილევიზიო პროგრამა (ფ.), 15.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეორეხისათვის, 16.40 — „ᲙᲘᲜᲝᲛᲝᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ კლუბი“ (მ.), 17.50 — „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ“. ანსამბლი „რუოგალია“. 18.25 — „ᲛᲝᲐᲛᲑᲘ“ (ფ.), 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 20.00 გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გილევიზიის პროგრამა, მიძღვნილი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების 31-ე წლისთავისადმი (მ.), 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“ (მ.), 22.35 — საბჭოთა კავშირის ხელოვნების ოსტატთა „ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲐ“.

მეორე პროგრამით: 21.05 — „სეზონის გახსნის წინ“. გრიბოედოვის თეატრი, გამეორებით, 22.15 — „კინონარკვევი, 22.35 — მხატვრული ფილმი — „ᲐᲛᲝᲗᲝᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ (ფ.).

7 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.25 — „ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ — მხატვრული ფილმი — „ᲩᲕᲔᲜᲘᲐᲡ ᲓᲐᲠᲩᲘᲗ“ (ფ.), 11.30 — დღეს სსრ კავშირის „კინოგაზეთის“ დღეა (მ.), 11.45 — „საბჭოური სასიათი ეკრანზე“, 12.25 — მოსწავლეთათვის — „ო, ენავ ჩემო“... (ფ.), 13.25 — დოკუმენტური ფილმი — „ᲡᲮᲕᲐᲠᲘᲜᲐᲒᲠᲘᲜᲔᲑᲘ“ (ფ.), 13.45 — „ᲩᲔᲛᲘ ᲙᲘᲜᲝᲒᲠᲘᲜᲔᲑᲘ“ (ფ.), 14.15 — „ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ — „ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲮᲘᲚᲕᲜᲔᲑᲘᲡ“ (ფ.), 14.55 — ქართული დოკუმენტური ფილმების პროგრამა. „ᲛᲘᲜᲐ 60 ᲬᲚᲘᲡᲬᲘᲚᲘ ᲘᲥᲘᲗ“, „ᲗᲣᲠᲐᲛᲐ ᲓᲐᲠᲩᲘᲗ“ (ფ.), 15.55 — ლიტერატურული გადაცემა „ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲒᲣᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ“, 16.35 — მუსიკალური ფილმი, „ᲘᲒᲜᲝᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ“ (ფ.), 19.00 — „ᲙᲐᲚᲐᲪᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡ“ — ᲡᲐᲡᲘᲛᲦᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ. თბილისის „დინამო“ — ლენინგრადის „სპარტაკი“ რეკორდაკი თბილისის სპორტის სასახლიდან (ფ.), 20.30 — საესტრადო კონცერტი „ქალაქური ფანტაზია“ (ფ.), 21.20 — „ᲛᲝᲐᲛᲑᲘ“ (ფ.), 21.50 — „კინოჟურნალი“, 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“ (მ.), 22.35 — „ᲠᲝᲜᲘᲐᲜ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ“. მოკავშირე რესპუბლიკების ხელოვნების ოსტატთა და მხატვრული კოლექტივების კონცერტი (მ.).

მეორე პროგრამით: 20.25 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ᲯᲐᲓᲝᲛᲘᲠᲘ“, 21.30 — მულტფილმი, 21.40 — „ᲛᲔᲪᲘᲠᲘ ᲒᲐᲪᲘᲜᲐ ᲛᲐᲚᲘᲜᲝᲕᲐ“, 21.10 — მხატვრული ფილმი „ᲑᲐᲚᲒᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲐᲜᲐᲒᲘ“.

8 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 17.00 — ᲐᲑᲘᲑᲣᲠᲘᲜᲒᲗᲐᲗᲕᲘᲡ — მათემატიკა (ფ.), 17.30 — 18.00 — „ᲪᲘᲠᲝᲜᲓᲔᲜᲐᲡ ᲔᲙᲠᲐᲜᲘ“, 10.00 — „ᲛᲝᲐᲛᲑᲘ“ (ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ), 10.30 — „ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ“ — ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 11.40 — „ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ“ — ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 12.10 — „ᲛᲘᲜᲐ“ — ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 12.35 — „ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ“ — ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 13.05 — „ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ“ — ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 13.35 — „ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ“ — ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 14.05 — „ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ“ — ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 14.40 — „ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ“ — ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 15.10 — „ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ“ — ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 15.40 — „ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ“ — ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 16.15 — „ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ“ — ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 16.50 — „ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ“ — ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 17.25 — „ᲛᲔᲠᲪᲔᲚᲘ“ — „ᲘᲒᲜᲝᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ“ (ფ.), 19.00 — „ᲙᲐᲚᲐᲪᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡ“ — „ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ“. თბილისის „დინამო“ — ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ (ფ.), 21.20 — „ᲛᲝᲐᲛᲑᲘ“ (ფ.), 21.50 — „ᲙᲘᲜᲝᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ“, 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“ (მ.), 22.35 — „ᲠᲣᲗᲜᲘᲐᲜ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ“. მოკავშირე რესპუბლიკების ხელოვნების ოსტატთა და მხატვრული კოლექტივების კონცერტი (მ.).

მეორე პროგრამით: 20.25 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ᲯᲐᲓᲝᲛᲘᲠᲘ“, 21.30 — მულტფილმი, 21.40 — „ᲛᲔᲪᲘᲠᲘ ᲒᲐᲪᲘᲜᲐ ᲛᲐᲚᲘᲜᲝᲕᲐ“, 21.10 — მხატვრული ფილმი „ᲑᲐᲚᲒᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲐᲜᲐᲒᲘ“.

9 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დოკუმენტური ფილმი „ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲧᲕᲐᲜᲙᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ (ფ.), 17.00 — „ᲐᲑᲘᲑᲣᲠᲘᲜᲒᲗᲐᲗᲕᲘᲡ“ — ფიზიკა (ფ.), 17.30 — „ᲒᲐᲪᲘᲜᲔᲑᲘ“, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.55 — „ᲨᲕᲔᲓᲘᲡᲣᲠᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲘ“ — ᲨᲕᲔᲓᲘᲡᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ (ფ.), 18.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 19.05 — დოკუმენტური ფილმი, 19.20 — საგილევიზიო სპექტაკლი — „ᲐᲯᲐᲯᲐ თხოვდება“ — (საქართველოს გილევიზიის დადგმა), 19.50 — „ᲛᲝᲐᲛᲑᲘ“ (ფ.), 20.20 — ო. და ა. ლაგროვები — „ძიება მიპყავთ ზნაგოკებს“ საქმე მე-14-ე. პირველი სერია. (მ.), 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“ (მ.), 22.35 — ო. და ა. ლაგროვები „ძიება მიპყავთ ზნაგოკებს“ — საქმე მე-14-ე. მეორე სერია. (მ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა (ფ.), 16.45 — „ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“, 16.50 — „ᲙᲘᲜᲝᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ“ — „ᲛᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘ ᲡᲘᲣᲟᲐᲠᲗᲕᲚᲘᲗ“ (ფ.), 17.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია (ფ.), 17.55 — დოკუმენტური ფილმი — „ᲠᲘᲒᲛᲘᲡ, ᲠᲘᲒᲛᲘᲡ“ (ფ.), 18.25 — მულტიპლიკაციური შესვენება, 18.30 — მხატვრული ფილმი — „ᲡᲘᲣᲟᲐᲠᲗᲕᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ“.

10 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“ (მ.), 09.40 — „ᲪᲔᲠᲝᲓᲔᲜᲐᲡ ᲔᲙᲠᲐᲜᲘ“, 10.00 — შვეიცარიელთ ენა (ფ.), 10.30 — „ᲜᲘᲜᲐᲛᲘᲜᲐ“ — ᲤᲘᲚᲛᲘ, 11.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ“, 13.00 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ“ — საგილევიზიო პროგრამა (ფ.), 13.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ“, 14.15 — „ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ“, 15.30 — „ᲒᲐᲛᲘ, ᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲔᲑᲘ“ — დადგი ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ, 16.15 — საგილევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲐᲚᲙᲔᲚᲘ“, 16.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეორეხისათვის, 17.40 — მოსწავლეთათვის — ინტერნაციონალური მეგობრობის კონცერტი, 18.15 — „ᲫᲘᲙᲝᲑᲠᲘ“ ციკლიდან „ᲘᲜᲘᲨᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲠᲝᲑᲘ“ (მ.), 19.10 — „ᲕᲘᲠᲩᲘᲜᲘᲡᲐᲜᲘ“ — რეპორტაჟი აფხაზეთის მხატვართა კავშირის საკაბოფენის დარბაზიდან, 20.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲘ“, 20.30 — „ᲛᲝᲐᲛᲑᲘ“ (ფ.), 21.00 — „ᲘᲣ ᲔᲡᲐᲠᲐᲓᲐᲐ“... (ფ.), 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“